ლდათ: ბინძური ჭორების გამართლება და საზოგადოების  
დარწმუნება ამ ჭორების სასწორებში. ამით, როგორც იტყ-  
ვიან, ორი უკრძალვის მონადირება ჰქონდათ ჩაფიქრებული,  
ასე იოხასაც გააჩუქებდნენ და ხალხსაც მითქმა-მოთ-  
ქმის ბადეში გახვედნენ, ამის შემდეგ ძნელი გახდებოდა  
მისი დაცვა, განსაკუთრებით აქ, თქვენთან. ამიტომ დას-  
ჭირდათ ის თათარი, უკაცრავად, აზურბაიჯანელი, ბიჭი,  
რომელც სახლიდან მეორე პირის ვითომდა ხშირ გამოიყ-  
ვენეს, გონება დააკარგინეს და ხსენებულ ბინამი მიყვა-  
და, ფეხსაცმელებიც ამ ფორიაქში დაიკარგა, გაზის სა-  
კითხში კი ნამდვილად გაუმართლათ, ბინამი უკვე მომატე-  
ბული წნევა დაიხუჭდათ ...

- ამის მომწიქრებელი სად არის? — დაინტერესდა თა-  
მადა.
- მე არაფერი დამბრალდესო და შეცდომას შეცდომა  
დაუმატა, ბოლოს ისე გაუხდა საქმე, რომ სამარცხვინოდ  
იქნა გაძევებული ქვეყნიდან ...
- გაძევება უშვების საქმეს? — გული დასწყდა ელ-  
დარს.

- დაცვის წევრებს სცოდნიათ ყველაფერი, ასე გამო-  
დის. — მიხედა ალმატა.
- ნამდვილად იციან? — დეთთანმა ჰუარო.
- მერე რატომ არ აპატიმრებთ? — შალვამ ბელგიელ  
სტუმრის თვალს თვალში გაუყარა.
- მე რა უფლება მაქვს? — გაიკვირა უყარომ.
- ხელისუფლებას ვგულისხმობ.
- ვერაფერს ვეტყვით, დანამდვილებით მხოლოდ ერ-  
თი რამის თქმა შემიძლია: ერთმა მცველმა ოჯახი მიატოვა,  
ახალი შექმნა და ქვეყნიდან გადაიხვეწა, მეორის ბედი მე-  
თვის უცნობია.
- გამოდის, რომ ცოცხალი ყოფილა ეს ჩვენი მეორე პი-  
რი? — გაიხარა თინამ.
- აბა მე ვის საფლავზე დაედივარ? — ცოლს მიუტრია-  
ლდა შალვა და მუულებს ისე შეხედა, თითქოს მას სდებდა  
ბოლოს ამ ყველაფერში.
- მაგას რა მნიშვნელობა აქვს, დიდი შაღვია მიცვალე-  
ბულის მონახულება, ვილაც ხომ ასევეა იმ საფლავში. —  
ჭკუა დააროდა რიტამ.
- ამ ყოველგვარ ისიც ადისტურებს, თუ რა სინყარედ  
ვერსობილიყვნა სუფებს ამ საქმის გარშემო, თითქოს  
ცოცხალ უფრო მეტი იცის, ვიდრე ლაპარაკობენ, საოცარ  
სიმშვედრის ინარჩუნებენ და, რაც დრო გადის კიდევ უფრო  
მეფიდედებიან. — განაგრძობ ჰუარომ.
- ეგ სწორედ რომ საპირისპიროზე უნდა მეტყველე-  
დეს. — წყნარად თქვა ელდარმა.
- როგორ? — მეგობრის მიუტრიალდა ტარიელი.
- როგორ და ... ეს სინყარედ იმის ნიშნავს, რომ მართ-  
ლაც ისე უფროა ყველაფერი, როგორც გამოგვიცხადებს ...  
აბა, ნავის ქექვა ვის უნდა აწყობდეს? მეტს ვაქექავ, ზე-  
ვითაც მეტს ამოვი ... თანაც პრობლეტურაში იმდენი ხალხი  
ტრიალებდა, საჭეწო არეული და ნამდვილად ერთმანეთში  
არეულიათ, ამოღებდა ხალხს კი ვერაინე გააჩერებს, რალაც  
ინფორმაცია მაინც გამოვა გარეთ. — დააზუსტა ელდარმა,  
რითაც თავად ჰუაროსა და მის გამოძიებულ საქმეს ცივი  
წყალი გადაასახა.
- ხალხი მართლაც ბევრი ტრიალებდა, მაგრამ გაიბ-  
სენით, ვინ ტრიალებდა. — ყველას ვასაკვირად დეთთანმა  
ჰუარო ელდარ ციმაკრიძეს.
- ვინ? — თითქმის ერთხმად იკითხა ყველამ.
- ექიმები, პოლიციელები, ჟურნალისტები ... ყველა  
დაძაბულია, დაბნეული, სასონარკვეთილი ... უმეტესობას  
ეს მეორე პირი ტელევიზორის გარდა არსად უნახავს, ასე  
რომ, ვერც განსხვავებას შეამჩნევდნენ ... თუმცა იყო ერთი  
ახალგაზრდა კაცი, რომელსაც თავიდანვე ეჭვი გაუჩნდა  
და, მგონი, რალაცას მიხვდა კიდევ.
- აბა, მე რას ვამბობდი? — სიამაყით გადახედა დამსწ-  
რე საზოგადოებას ელდარ ციმაკრიძემ.
- ეგ ამბავი მუც გამახსენდა. — საერთო ეტყებას აპყვა  
რიტა ეზუგბაია.
- მაშინ ისიც უნდა გახსოვდეთ, როგორ დაასრულა სი-  
ცოცხლე ამ ახალგაზრდა კაცმა. — ჩაქვია ჰუარო.
- მგონი, მანქანით გადავარდა საფლავ ... — დაიძაბა  
რიტა.
- არა, საკუთარმა კლასიკულმა გამოსახლმა სიციხელების  
მეტად საღვთო ვითარებაში, ვითომდა ძველი წყნის გამო ...  
რამდენიმე დღეში მკვლელოც გარდაიცვალა, თავი მოიკ-



ლა, ასევე საექსო ვითარებაში ... ამით ერთადერთი ძაფიც გაწყდა, ეს ყოველივე კი სწორედ იმას ამტკიცებს, რაზეც უპირატესად ვაძრუნდებით ... გარდა ამისა ... - პუარო კიდევ ამორებად რალაციის დამატებას, ალბათ მნიშვნელოვანის, მაგრამ აჯარ დასცალდა, რადგან შალვა კრიხელს საბოლოოდ უმტყუნა მოთმინება.

- მიჩნე არ მჯერა.  
- რისი, ადამიანი?! - ქმარს შეხვდა ნუნუმ, რომელსაც მუღლის დაუსრულებელი შეკითხვები თუ ეჭვი გვარინანად ჰქონდა მობეზრებული..

- ცოცხალი რომ არის, იმისი. - მოჭრა კრიხელმა.  
- ვითომ რატომ? - ნამით შეისვენა პუარომ და კრიხელს თავზე წაშობდა. - განა ადამიანი მანამდე არ არის ცოცხალი, სანამ მას და მის საქმეს ახსენებენ, იხსენებენ და ახსოვთ?!

- კი, ნამდვილად ასეა, ჩემი პალატიც ცოცხალია, ყოველდღე მაკიობავს სიზმარში - თქვა რიტამ და პირველად გაიღიმა.

- თუ ყველა ცოცხალია, მოდი სიცოცხლეს გაუმარჯოს! - ადგილიდან წამოხტა ჯუშუბერ ხარატშივილი და საცხე ქცია, როგორც ასეთ დროს ჩვევად ჰქონდა, თავსზემით შემართა.

ამის შემდეგ ის დაინყო, რაც ყველა თბილისელს ერთხელ მაინც ნანახი აქვს და იმავდროულად გამოცდილიც. ამ ამბებთან სამოედ საათის შემდეგ თბილისის აეროპორტის მოსაცდელი დარბაზის შესავლელთან ორი მამაკაცი ერთმანეთს თბილისურად ეშვიდობებოდა, ბევრნაკონცხითა და მოუნესრთებელი ტანსაცმელით.

ძნელი მისახვედრი აღარ უნდა იყოს, ვინ იყვნენ და საიდან მოდიოდნენ ეს მამაკაცები. ერთი გახლდათ საქვეყნოდ ცნობილი მამებარი, ერკოულ პუარო, ხოლო მეორე, უკვე საბედობოვეტილი თბილისელი ტაქსის მძღოლი, ტარიელი ბოზოიანი. ტარიელი მოსაცდელ დარბაზში შესვლას ლამობდა, პუარო უარზე იდგა, გულჩვილობას იხვედლებოდა და ამბობდა: არ მიყვარს გაცეცხობა, ცუდი გარნობა მუყუფლება და ცუდადვე მაქვს დაცდილი. ბოლოს, სტუმრის ხათროით, ისევ ტარიელმა დაამთ, კიდევ ერთხელ გადატეხია შეგობარს და იქაურობას გაეცალა.

ტაქსის გაჩერებასთან მისულმა მაინც გამოხედა აეროპორტის შესავლელს და თვალებით მგობარი მოინახა.

პუარო აღარადაც ჩანდა.

რას იზამ, ყველას თავის ცხოვრება აქვს, გაიფიქრა ტარიელმა და, რადგან უმანქანოდ ბრძანდებოდა, მძღოლს სოლოლაკში წაყვანა სთხოვა. სიმართლე უნდა ითქვას და ეჭვარებოდა კიდევ, ზუმერობა საქმე ზომ არ იყო, ამოადგანა დანაშაულის გახსნა. სახლში ელოდებოდა მუღლეს და განუხვეტილი ბლოკნოტი, სადაც უნდა შეეტანა კიდევ რესტორანში გამართული საუბრის მინარისი, ისევ და ისევ, მომავალ თაობათა გასაცნობად.

ღმერთმა ხელი მოუშარათს ჩვენს ტარიელს ამ საქვეყნო საქმეში.

მეორე დილით, ხაშურის, თავისუფალი თეატრის მეორე შესავლელთან, სადაც მსახიობები თავს იყრიდნენ ხოლმე და ყელის გასველების გეგმებს აწყობდნენ, გამოჩნდა მოქალაქე თემურ ცარიციძე და შენობაში ისე შეაბიჯა, როგორც საკუთარ სახლში.

- თემურა, ზიჭო, სად ხარ ამდენ ხანს, ასე უნდა დავინებება?! - მამაკაცს შეეცინა ვახტორი კოლია ტიტონიძე და პატივისცემის დასტურად საკუთარი ჯიხურთან გამოსვლაც იკადრა.

- თბილისში ვიყავი, კოლია ბიძია.
- თბილისში ვა ვინდოდა, მთავრობას ზომ არ ეზრძოდე?
- მაგ ქტუაზე ვარ სულ.
- აბა?!
- ძმაცაკის სახლს ვყარაულობდი, თურქეთში იყო დასასვენებლად და ერთი კვირა დარჩენა მთხოვა.
- მეგობრის დახმარებას რა სჯობია, მაგრამ საკუთარი საქმის ნახდენად არ ივარგებს, მამაშვილურად გეუბნები, რომ დაგითხოვოს ახლა, ზომ დარჩები უმშუპეარი?
- გაგიჟდა?
- ყველას ეზუბო.
- არა უშავს, დაველაპარაკები.
- აბა, შენ იცი, გელოდება ხალხი.
- ადგილზე ზომ არის?
- სად იქნება?
- ნავედი მე, კოლია ბიძია, მიხვდეთ საქმეს.

თემურ ცარიციძე ვახტორს გამოეშვიდობა და კიბით მეორე სართულსკენ გაემურა, სადაც განთავსებული იყო კიდევ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის კაბინეტი.

ამ რეჟისორს სახელი იმით ჰქონდა გაცემებული, რომ პროვინციულ თეატრებს წელში მართავდა, ფეხზე ჰყენებდა და საქალაქო ასპარეზზე გაჰყავდა. ამიტომაც ზურგსკეცი ყველა ბორას ეძიებდა, იუსუსლაველი მწერთელის, ბოზო მილტტინოვიჩის სათართი, რომელიც ასევე საქმიანობას ეწეოდა, ილწინადაც ფეხებერთით. მეს ორი-სამი წელი იმუშავებდა ერთ ადგილას, პატარა ქვეყნის უსახელო გზადას შესარეცე ტურნორს მოვაგინებდა და მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის საშუალებას მისცემდა.

ჩვენი ბორაც ასე იყო, სამ წელზე მეტი წნით თეატრში არ ჩერდებოდა.

ის ბორა იქით იყოს და ჩვენსას ნამდვილი სახელი ვასო ერქვა, გვიარად კი ბიბილონი ბრძანდებოდა.

- გამარჯობათ, ბატონო ვასო. - თქვა მსახიობმა ცარიციძემ და კართან შატალოზე წასწრებული მოსწავლესავით აიტუხა.

- რას მიშვებენ, ცარიციძე, მღუპავ?!
- რატომ გეღუპავთ, ბატონო ვასო?
- აბა რა ძეია შენს საქციელს, სად იყავი ერთი კვირა?!
- ვეზუმაბდი, ბატონო ვასო.
- რას მუშაობდი?!
- თქვენ არ მიზიხართ, მთავარი როლი უნდა მოგვცე აგატა კრისტის პიესაში, თბილისში წასწავლა ხარ, შენს მეტი მაინც ვერავინ შეძლებსო?! ისიც ზომ მიზიხართ, როლში შედიო, ენაც დახვეწიო, რა იცი, რაში გამოვადგვობო, ისიც კარგად მახსოვს, რომ მიზიხართ, სხვა ნაწარმოებშიც ნაიკითხე საერთო სტილისტიკას ალლო რომ აუღლო ...

- მერე?!
- რომლიც შევედი და ენაც დახვეწენ, ახლა მხოლოდ პარტნიორებთან მუშაობა მაკალია.
- მთელი ვარდობი რომ გაზიდე, ის როგორ იყო, ხუთი კოსტუმი რად ვინდოდა, ერთი მაინც დადგტოვებინა, შე კაციო!
- ხუთივე ხელუხლებლად ჩამოვიტანე, ბატონო ვასო, გაუთოება დაჭირდება მხოლოდ.



— მომკლავ შენ მე, ცარციძე, სარგებლობ, რომ კონტრ-გენტი არ მიწყობს ხელს ... ნადი, ნადი და იმუშავე ... მოიცა, შინ დარეკე, გავიგე და დედაშენი, პროკურატორიდან ყოფილან, ჩვენთან გამოცხადდესო, ასე დაუბარებიათ.

— რა გვინდაო? — ძლივ ამოიქცა ნინამხმადრმა ცარციძემ.

— თეთთანაც კარგად იცის, რაც გვინდაო, ასე უთქვამთ ... დააშავებდნენ რამეს ... დალიე ხომ?!

— წვეთი არ დამიღვია, ბატონო ვასო.

— ნადი ცარციძე, გავგიტრქედლა საუბარი, რემეტიცი-აზე არ დაგავიანო.

როგორ ბრძანა შექსპირმა: მთელი სამყარო თეატრიო, ადამიანები კი ამ თეატრის არტისტები ვართო, მართალი ყოფილა ეს კაცო, რას ვერწოდო, შავის ნანარკოებები რომ არ მომხსნებოდა. — ასე ფიქრობდა მსახიობი ცარციძე და იქვე აზუსტებდა, მგონი, ეს გამონათქვამი პროკურატურა-საც უნდა ეტყობოდესო.

ამ უცნაური ამბიდან ხუთი თვის შემდეგ, მაშინ როდესაც თბილისში გვიანი შემოდგომა, თითქმის ზამთრის პირი იდგა და ქალაქის მაცხოვრებლები გაუსაძლის სიცივეზე იწყებდნენ ნუნუნს, ტარიელ ბოზოიანის სახლის კარზე კაკუსის ხმა გაისმა.

კარი თინამ გააღო.

ზღურბლზე ახალგაზრდა ქალი იდგა, რომელსაც ხელში საშუალო ზომის კონვერტი ეჭირა.

— ტარიელ ბოზოიანი აქ ცხოვრობს? — იკითხა ქალმა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— წერილი მაქვს გადასაცემი.

— ტარიელ, შენთან არიან. — გასასხა მუხლდღეს თინამ და მოულოდნელი სტუმარი ზღურბლზე ისე დატოვა, რომ ბინაში არც კი შეიპატიო.

— კლიენტისგან იქნება. — თავი იმართლა ტარიელმა და გასასვლელისკენ გაემართა.

— ეს თქვენთან გამომოატანეს. — თქვა ქალმა და თავი დახარა.

— ვისია?

— თემურ ცარციძემ გამოგვგზავნათ.

— ეგეთ კაცს მე არ ვიცნობ. — იუარა ტარიელმა.

— ნაიკითხეთ და ყველაფერს მიხვდებით.

— ნაიკითხვას წინ რა უდგას, ევ ადვილი საქმეა.

— გამაძლიბო. — თქვა ქალმა და, სანამ ტარიელი კონვერტს ხსნიდა, წამსვე გაუჩინარდა.

გამარჯობა, ძმაო ტარიელ, დღესაც კეთილად ეიხსენებ იმ ერთ კვირას, რომელიც ურთად გვაგვ-ტარეთ საქმის ძიებასა და თბილისის შესწავლა-დათვალღიერებაში ...

ასე იწყებოდა თემურ ცარციძის წერილი.

ამას მოჰყვებოდა უამრავი ბოდი-ში, თითქმის ყოველი წინადადების დასასრულს. შემდეგ იმ გარემოებისა თუ ფაქტების აღწერა, რომელმაც მსახიობ ცარციძის ესა თუ ის ნაბიჯი

გადაადგმევინა. ყოველი ქმედება დეტალურად გახლდათ აღწერილი, ამას, რა თქმა უნდა, თან სდევდა გარკვეული, საკმაოდ მძიმე ემოციური ფორა. მოკლედ, წერილი გაჭირ-ვებული კაცის დაწერილს ჰგავდა და, რაღა დასაძალია, იყო კიდევ.

როგორც ყველა ასეთი მოკითხვის ბარათი, ესეც მეტად მოკრატლებული, მაგრამ მეტად საჭირო თხზვით სრულ-დებოდა:

ძმაო ტარიელ, იმედია თავებუბაში არ ჩამომართმე ჩემს თხოვნას. თითქმის მეოთხე თვეა ჩემს საქმეზე მიმდინარეობს ძი-ება. შედეგებთან რეკვიზიტის არამინობრივ გამოყენებას, რაც გამოიხატება ყალბი ფუნქციონირების შენახვა-გასაღებაში. მე რა თქმა უნდა, ყველაფერს უარყოფ, მაგ-რამ დანაკლისი სახეზე და პასუხზე ვიღაცამ უნდა აგოს. ჩემი თხოვნა აქედან გამომდინარეობს.

ალბათ გახსოვს, პირველივე დღეს რამდენიმე ასეთი კუპონურა შენც მოგვცო, პოდა იქნებ გაანადგურო, თუ, რა თქმა უნდა, ისევ შენთან ინახება. ასევე გთხოვ, შენც იუარო ყველაფერი.

სულ ეს არის.

წინანარკი გიხილ მადლობას.

იმედია, გულში შეწყნას არ ჩაიფებ.

გამოვალ და ერთი კარგი პური ეჭამოთ, ნაღდ თბილ-სულ ხალხს რომ ეკადრება, ისეთი.

მომავალ შესვედრამდე, ძმაო ტარიელ.

ამას სულ ფარერი გვინივარ, განა არ ვიცო, ევ პუაროა თუ ვილაკ, დიდი ხნის მკვდარი რომ უნდა იყოს, სტუმრის-თვის პატივი უნდა მეცა, აბა, სხვანაირად როგორ შეიძლე-ბა, იმან კიდევ, ხედავ, როგორ გაიგო?! — გათქვრა ტარი-ელმა და კედელზე სამახსოვროდ შეკიდულ, ჩარჩოში ჩას-მულ ხუთფუნტიანს ატეხავდა, რომელსაც ამაჰად ამშვენებდა ერკოლ პუარის ფეხტრად.

— რაო, ტარიელ, რა მინდაო? — გამოსახა საშხარეუ-ლოდან თინამ.


— კლიენტისგან იყო, ბუქსირი სჭირდება, მანქანა გა-ფუჭქვია.

— მაგეების წერას, დაერეკა, არ სჯობდა?! — დაექვდა თინა.

— აბა, მე რა ვიცო, კაცია და გუნე-ბა ... ისე, შენ როგორ ხარ?!

— ძველებურად. — თქვა სამხარე-ულოდან გამოსულმა თინამ, კართან მდგარ სკამზე ჩამოჯდა და ნაწიზ-დილ მუცელს ხელი გადაუსვა.

— ძველებურად რატომ, ახლებე-რად ... ახლებურად ... — გაუღიანა თინამ ტარიელმა და მივიწყებული სიმ-ღერის ღიღინს მოჰყვა.



ჩვენი ქუროის კასები, ყველა კარგი კასები, დანარჩენი კასები, ყველა ფიდარასები.



აქ ჩვეულებრივი არაფერია, რადგან სწორედ ჩვეულებრივის გარდასახვა ხდება არაჩვეულებრივად.

ავტორს შეუძლია ირეალურიდან აღმოაცენოს რეალური და პირიქით, რეალური ჩაზარდოს ირეალურში. შეუძლია მოტივი არ შეცვალოს, მაგრამ იყოს განსხვავებული, ახალი, მოულოდნელი.

ამ ლექსებში ყველაფერი მოძრაობს, იტალღება, მიედინება, ფერს იცვლის, მერი აქვს ბგერას, ფიქრს, ოხერას, დარდს, ძილსა თუ უძილობას.

ამკარაა პოეტური აზრის მოძრაობა, როგორც სახისმეტყველებითი დიალექტიკა, რიტმულ-ინტონაციური თვითგანვითარების კანონი.

საგნები უფრო მეტს მტყველებენ, ვიდრე სიტყვები; თითქოს ლექსებს კი არ ვკითხულობთ, არამედ ვხედავთ და ვაჟღერებთ.

ეს არის ლია სტურუა — ჩვეულებრივი და უჩვეულო.

ლია სტურუა

უნდა დავგრიბო  
და სულ თვალბში ურტყა,  
ტკივილიდან თუ დაგინახევენ,  
სხვაგვარად, ვარემო  
ლითონივით თანაბარია.

ახალი თამაშები

ელგუჯა ამამუკელს

ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი,  
დასაფგმელად გამზაფებული წლების წინათ,  
გდია სამხატვრო კომბინატში და იფიტება

ნატურმორტი –  
დამპალ ხილს  
ზეთის ფერი რომ ვასიღის,  
იმით დახატული:  
ულტრამაინი, კადმი ნითელი, ოხრა;  
უბედურება ცოცხალი ვაშლის თავზე,  
მაგრამ როგორ ფლერს!  
მუსიკა შენთვის,  
მერყევი სიცხე  
ლითონივით თანაბარი რომ გახდება,  
შენც მსგავსი მისაღის...  
რა მოგერია?  
შაქარი? ეროზიები ბოძივით ჩონჩხზე?  
— მოდელს-მეთქი  
და – ხელით ძეგლებს წვედაო  
წერს ერთი ფურნალისტი...  
იციინან ბიჭები,  
ფურნალის გარეკანიდან: –  
— რა მოდელი, რის ძეგლი?  
გადასაყვანი სურათები  
ცხენის უკანალზე!  
ყოფილი მერის ლბიდო,  
ოქროს ნყალში გაველებული,  
ქალაქის მთავარ მოედანზე  
რით არა დროშა  
სექსუალური რეგოლუციის?  
ძეგელი ამამუკელის  
„რალა დროს ბარათაშვილს“  
ხორცებს აჭირან ხელიდან, ფეხიდან,  
ბრინჯაო ძვრია, ცხოვრება მძიმე  
სახესთან ჩერდებიან,  
ძალიან დარდიანი...  
ამ ბრინჯაოს სხივით  
მიხედი ღმერთამდე.  
აქ სულ სხვა საქმეა:  
სინათლე ზამბარასავით

ნილკინს ბუბაული

ასეთი რა აკენა?  
ჩვეულებრივი ნავეის გარდა?  
შეცდომით გადაყრილი ოქროს კბილები,  
სასიმლეო კონსტრუქციის სრულყოფისთვის?  
კაცი ნახა, სიმებიანი ყელი  
რომ ჰქონდა და  
გადაერგავა? დაითანხმა?  
მის ტანში ფიქრის მონყობილობა  
არ ჩაუყოლებია ბუნებას  
და ჩიჩაბში ორკესტრი?!  
თან უნდა ბგერა ჩაახვიოს,  
თან ვარდებს უფუროს,  
თან მე დამარწმუნოს,  
რომ ღმერთს ვუყვარვარ...

რკველის მინდორზე

რას მალავდნენ ეს სამელნები?  
შვილებს, გატანილს რვეულის მინდორზე?  
ნითელ ხაზს სკოლის თემა  
ვერ გადაცდებოდა,  
ვერც შემდგომი სარკაზმი,  
ლექსი, ისედაც ვინო იყო,  
პართენონის სვეტივით,  
საკუთარი თავიდან ამოხტომა  
ჩარჩოდან გასვლას არ ნიშნავდა,  
ოთხ კედელს კიდევ აიღებდი  
ყოფილი ტემპერამენტით,  
მაგრამ ის ნითელი!  
მინდვრის კანონებით ცხოვრება,  
ე.ი. უკანონოდ  
მზე, ცხელზე ცხელი,  
ცა – ელვარე-ელვარე,  
ია-ია ორმაგად ვერადი  
რა სიაშკარავე  
დალექლი ნიღბების ფონზე!



წითელ კედელში გაჩენილი ბზარები,  
 ბედნიერი მიგნების დროს,  
 ანუ კარგი სტრიქონის...  
 ქარს ველოდები,  
 თუ პოეტი ამხელიჩა, თავის დროზე,  
 სისხლიან მე-ებს მომიტანს...  
 მთლიანები, მონოლითურები  
 ეჭვის თვალით მიყურებენ,  
 პარალელურ ხაზებზე დადიან,  
 ერთმანეთს არსად არ გადაკვეთენ.

\*\*\*  
 ნვიზა, გადაბრილი მარჯვნიდან მარცხნივ.  
 სიბერნის პოემას ვწერ –  
 აი, სადაა ფსკერები!  
 ტკიპები რძეზე, მტკიცია,  
 შშიერი ბავშვები  
 ბოლომდე ვერ ავაშენე,  
 ხორცი არ მყოფო,  
 იქნებ, ცოტა სიტყვა, ცოტა კედელი?  
 (მაინც, ჭამენ)  
 გაზამებული საყვლს რეჟიმი...  
 მგვანან რამით?  
 ფურადობით, სინათლის ხარისხით?  
 ერთხელ ხომ უკვე მოგვადი,  
 ცოტახნით, მაგრამ ხელები მოვიჭერი,  
 პირი ამოვიკერე,  
 ზაფხულის ბალებს  
 ვერავის თვალეში ველარ გადავიტან,  
 ყველაზე მტკიცენული რაც მაქვს,  
 ღვიძლით ვიყურები:  
 შავი ტკიპები რძეში  
 ყვითლად ჩანან,  
 ჟანგისფერი ბავშვები...  
 ჟანგი ოქროს ნათესავია?  
 ნყალნაღებულ მეოცნებებს,  
 მაინც არ მოეკიდება,  
 მანამდე კლავენ...

### მალალი სახლი

ზამთარი მოდის,  
 ჩონჩხი გამოშიჩნდა,  
 მრავალსართულიანი ხერხემალი  
 მთელ ოჯახებს ჩეკავს,  
 ნეკნები მტკიცია, ანუ საძირკველი  
 ჯერ მინა ხომ არა ვარ!  
 გზადაგზა, გადასახადივით,  
 ვკრეფ ურთიერთობებს,  
 გარედან ვინც მეხება,  
 ისინიც არ დაეფრთხო,  
 თორემ სახლში, გატკბილებული  
 რომ იყო ზამთარში,  
 ვიღას ვეიტყვი, როგორ შემეცოდა.

\*\*\*  
 უძილობა – ათასი ხელ-ფეხი,  
 სანოლში – ნაოჭები, ორმოები,  
 აქლესის კუხები,  
 ობობიანი კუთხეები  
 შეისყიდე შვილებისგან,  
 "საკუთარი კუთხის" პრინციპით,  
 მოსაბლაუჭებლად სანოლზე,  
 ცხოვრებაზე? უძილობას რას უშვრები?  
 ერთადერთ მსხვერპლს აბლაბუდაში –  
 საკუთარ თავს?  
 უფრო სწორედ, ამ თავიდან  
 ამოსულ ფეხებს? ესენი ფიქრობენ,  
 სხვები გულის მუშაობას აფერხებენ,  
 ყველაზე მარტივები  
 სანოლის ზურგს ებლაუჭებიან...  
 სულ ცოტა ძილი!  
 ხელებიც აღარ მინდა,  
 პირის დასაბანად,  
 დღლაში ისე ამოვენობი,  
 საქმეებს გამოვიგონებ,  
 თორემ სიცარიელე დამინგრევს მხრებს  
 თეთრი და შავი – ფერების კლასიკა...  
 გაასამაგებელი კიდურებით  
 ვებევი ცარიელ ლოგინს,  
 სპირიტუოს ფებებს – ბამბა,  
 ხელში – თეთრი დროშა,  
 სახეზე – ღამის ტალახი,  
 ასე თავდება?

\*\*\*  
 მთები, ცა, ხეები –  
 თავის ადგილზე  
 მუქი ლურჯი ხმით ელაპარაკები,  
 კმაყოფილი ასეთი ნონასწორობით,  
 სანამ ანგელოზს დავანახებენ,  
 მერე მორჩა ყველაფერი ცოცხალი  
 და მის შესახებ ფოლკლორი:  
 დედ-მამის ძებნა ცაში  
 ამ უკანასკნელის ნეკინდან  
 ამოყვანილი შიში –  
 მდებრობითი სქესის სავანი,  
 მაგ. ფინჯანი, მისი დამტვრევა –  
 გმირობა ვინრო ნრუმი,  
 შუშის ორდენები, ბოლომდე,  
 მკერდის დაქცობამდე...  
 სანამ ანგელოზს დავანახებენ,  
 მარლის, ბამბის და  
 ქათმის ბუმბულისგან გაკეთებულს,  
 მთელი შენი სისხლის შემსწორტავს –  
 ალისფერი ვულგარულია!  
 ერთი ნვეთი მაინც გამოგყვია,  
 უკანონო, იქაური დანაშაული  
 ნათესავებს სიბუბის მიუტან...

საქართველოს  
 პარლამენტის  
 ბროშული



ნინო დარბაიშვილი

**აბა, კაცები რატომ  
დგანან თავანუღი**

როგორ გაზრდილა!  
ქალია უკვე.  
ახლა ვინ იცის,  
ბენვის ხიდზე  
როგორ გაივლის...

გუშინ არ იყო?  
მამა-შვილი  
ზამთრის საღამოს  
მოფუყვებოდი ამ ქეაფენილს.  
მე თან ნაბიჯებს ვიმოკლებდი  
და თან გათოშილ ხელის მტევანს  
მუჭში ვუთბობდი.

— აქ ღმერთი ცხოვრობს? -  
მკითხა უეცრად ;  
სამშობიაროს შენობასთან რომ ჩავიარეთ.  
— აქ ღმერთი?! არა!  
— აბა, კაცები  
რატომ დგანან  
თავანუღი  
და თან ისეთი თვალები აქვთ..  
— მაინც როგორი?  
— რა ვიცი,  
თითქოს ლოცულობენ...

მამა და შვილი მუდამ ერთად  
როგორ ივლიან.  
თავანუღი ვდგავარ მარტო,  
შუალამეა.  
სადღაც, ზემოთა სართულზეა  
მისი პალატა.  
აი ფანჯრებიც ;  
(თუ გამოთვლამ არ მილაღატა).

რა კენესა ისმის,  
ხეა, ქართი გადარწეული  
თუ უჭირს შვილს და  
უკვე აღწევს ხმა მისი გარეთ?  
(სანთებულათი  
მოვუყიდე ბოლო სიგარეტს).

ვეძებ ფანჯრებში  
ფერმკრთალ სახეს,  
მაგრამ ფანჯრებიც ეფანჯება  
დაორთქლილ მინებს.  
გუბდება გული,  
მერე მძიმედ ამოიგმინებს  
და სიჩუმეა.

ნელა გადის დრო გულმოდგინე.

რა გითხრა,ღმერთო!  
მე არ ვიცი,როგორ ვილოცო.  
ღმერთო, მამაო,  
გთხოვ,  
მშვიდობით მოალოდინე!

**კარტის ხუსულა**

გვიყვარდა კარტი,  
მაგრამ არაფინ გვათამაშებდა.

დიდი მაგდის ერთ კუთხეში  
ჩვენ უფროსების გაჭრილ კარტებს  
ველოდებოდი  
და მერე ფრთხილად,  
სუნთქვაგერკულნი,  
კარტის ხუსულებს ვიშენებდით,  
ვიდრე ის ხელი დამთავრდებოდა  
და ჩვენც ყველაფერს დაგვინგრევდენ,  
რათა აეჭრათ ახალი ხელის დასარეგებლად  
მონდომებით,  
ისევე,  
თავიდან.

ხდებოდა ხოლმე,  
ვინმე აზარტით ატანილი,  
ალტაცებული  
უცებ მაგდას შუაქანება  
ან ხელს დაჰკრაედა,  
ანდა ნაგებით ზრაზმორეული  
ჩაშლიდა თამაშს.

და უფრო ადრე გვენგრეოდა ის ხუსულები...

ქვეყანავ ჩემო,  
ხელგანვდილი  
შენ ისევე იცდი,  
არაფინ გკითხავც ;  
ან რა გიჭირს,  
ანდა რა გინდა.  
რას გარგუნებენ  
გაჭრილ კარტის იმ მარადიან.  
კარს მოვდგომია  
განსაცდელი ათასმაგი და  
მიდის თამაში.  
ყირავდება უკვე მაგდა!



**თამაშვარა**

ის თამაშიდან გამოაგდეს უხეშობისთვის.  
სიბრახისაგან თელის ფერი არ ემჩნეოდა.  
დაჯდა მარტოკა,  
მოედნისკენ ზურგმიქცეული.

მე — შეგცქეროდი,  
იმზურგსუკან  
როგორ დარბოდნენ,  
როგორ დაობდნენ  
უნაპერსკლოდ  
დარჩენილები.  
უსტვენდა მსაჯი  
მოხალისე კალათბურთელებს.  
დიდი,  
მსტუნავი ფორთოხალი  
მზეში ბრუნავდა.  
მზეში ბრუნავდა ფორთოხალი  
ფარსაცდენილი,  
მოდანგარეთ  
გორდებოდა ახალმწვანეში,  
ზოგჯერ კალათშიც ვარდებოდა...  
და არ ხდებოდა საბოლოოდ აღარაფერი.

დაუცხრა მზერა ალესილი,  
კისრის ძარღვები დაბერილი  
ნელა ჩაუდგა  
და  
ცხელი ქშენაც მიუნყნარდა  
ნესტოებიდან  
და აღარც ლურჯი მისიური უტოკავდა  
ოფლიან მკერდზე,  
მაგრამ  
უეცრად,  
სულისაბერვით  
აიყარა შუბლიდან თმები,  
როდესაც  
გოგომ  
კაფანდარამ,  
მკერდმოკოკრილმა,  
მოუხედავად ჩამოუარა  
და სიშორიდან  
ერთმანეთი იგრძენს ტანებმა.

ბიჭმა ენაზე დაისველა მომლაშო ცერი  
და გადაყვლეფილ მუხლისათვებ  
ბეჭდად დაისვა,  
მერე ნებივრად გაიზმორა  
და ერთიანად ჩასუნთქული მთელი სამყარო  
ამომთქნარა უდარდელად.

ნამოუბერა.  
მე ავიტატე ბავშვი ხელში,  
შინ გავეშურე,  
ეი კი,  
ზურგსუკან  
გრძელდებოდა ისევ თამაში.

მზეში ბრუნავდა  
ფორთოხალი.  
ბრუნავდა მზეში.

**კენჭურა\***

არ მესმის შენი,  
არაფერიც არ მესმის შენი.

ერთი, გაბმული ხმაურია  
სუყველაფერი,  
რაც არ მანიშნებს,  
რომ სამალავი სადღაც ახლოა.  
ანდა საზრდოსკენ არ მიმხედეტს...  
მე მდებრი ვარ და  
დედა ვარ და  
სხვანაირად როგორ ვიქნები!

ნიავე მოპქონდა სუნი შენი,  
გაუგებარი.  
სულ გავიბოდი,  
გავიბოდი,  
ახლა კი,  
როგორ მიცახცახებებს მთელი სხეული...

ნუ შემეხები!

კუდიანი ვარ,  
თვალმწური ვარ,  
თანაც ხელმოკლე  
და არც ფეხები მაქვს ჩამოქნილი,  
რადგან  
ურყვევად უნდა ვიდეგ  
და თუ გაჭირდა,  
საკუთარ თავსაც გადავახტე.  
მე მდებრი ვარ და  
დედა ვარ და  
სხვანაირად როგორ ვიქნები!

შვილი?  
ა-აა, შვილი?!  
იმან თავის ჩანთა აივსო,  
მე — იმის ნაცვლად  
დილდილობით ვანანავებ  
შზეს ახალშობილს,  
ლამლამობით კი  
მთვარესა და  
ნერილ-ნერილ ვარსკვლავებს ...

ჩუ,  
ბალახებში რალაც ფაქუნოვს!

\* როდესაც ბრიტანელმა მოგზაურმა ავსტრალიაში პირ-  
ველად დაინახა უცნაური ცხოველი, რომელიც უხარმხარ  
ბოცვერს ჰკავდა, მაგრამ შუცელზე ჩანთა ჰქონდა, ამო-  
გუნს ინგლისურად ჰკითხა, რა ჰქვია. «კენ გუ რუ» — უპასუხა  
ამორივემმა, რაც ნიშნავდა «არ მესმის შენი».



### კვ — არაფერი

ფეხი არავის მოუცვლია მოსაცდელიდან.  
ისე ცელღავდით,  
გზმადრობდით გაუთავებლად,  
რომ შედგებოდა  
რიდი თვეარც დავეხებებით.

თავბრუ გებევება?  
— არაფერი.  
იცის ნარკოზმა  
თავბრუსხვევები,  
შიშები და ნარმოსახებები.

გინდა, გაიცინო?...  
(რა ცივი გაქვს თითები თილილი!)  
ძალიან კარგი,  
სამელოსნი რომ მოიშორე.  
მაღე ადგები,  
მეც — შენთან ერთად,  
სულ ფეხით ვივლი.  
ცოტა — სხივური თერაპიაც  
და  
ზღვაზეც წავალთ,  
იქნებ ისეც უკარება,  
ლღი და თბილი ...

თმა?!  
— არაფერი!  
უკვე ისეთი შამპუნებია,  
რომ ერთ კვირაში  
მოგიტყდება საეარცხლის კბილი.

აი, იღიმი და ცრემლებიც აღარ გეშენება,  
უკვე ერთი ტკივილებს და უცნაურ შიშებს,

მაგრამ რატომღა მოგერა უეცრად ბრაზი?  
გაიგება?  
ფანჯარასთან  
ვიღაც ვიშვიშებს.  
(გადალილია,  
რახანია ღამეებს გითევს).

— ვაიმე, შვილო,  
რა უნდა უყუ  
დიდვდაშენის  
დანაზოგით მოგროვილ შზითევს.

### შუალაშური

მკითხა: ამ ღამით ვინ დაგტოვა ქუჩაში მარტო?  
მიუფუგე: რა ვუნა, გაავაცილე სტუმარი ღამის.  
მკითხა: შეცნობი,სად ცხოვრობო.  
მიუფუგე: ახლო.  
მკითხა: არ გინდა, მიგაცილო?  
მიუფუგე: კარგი!  
მკითხა: სახელი რა გქვიაო.  
მიუფუგე: ანა.  
მკითხა: როდესაც დამინახეს,სულ არ შეშინდი?  
მიუფუგე: ცოტა, როცა ჩრდილმა გაიხშიანა.  
მკითხა: არ გცივა? მოიხურე ჩემი ჟაკეტი!  
მიუფუგე: გმადლობ.რა თბილია! როგორ შევამა!  
მკითხა: თუ გჯერა, ვარსკვლავების ან ბედისწერის?  
მიუფუგე: მგონი, ვარსკვლავები მუდამ ტყუიან.  
მკითხა: ეს არის შენი კარი?  
მიუფუგე: დიახ!  
მკითხა: გეყენება ჭიქა ჩაი?  
მიუფუგე: არა!  
მიგვეტე კარი და ჭროლამაც გადამიარა.

### პირველი შთაბეჭდილება

დღეს იშვიათია ისეთი კეთილსინდისიერი და სანდო პოეტი,  
როგორც არის ნინო დარბაისი. სანდოა მისი გემოვნება, ინ-  
ტელექტი, ფანტაზია, განცდა. არასოდეს ღალატობს ალღო და  
ინტუიცია. სჯერა საკუთარი თავის და ენდობა მკითხველს. ერთი  
სიტყვით, იცის რას ნერს, როგორ ნერს და რისთვის ნერს.

იცის ლექსი და ლექსნება, როგორც პრაქტიკულ, ისე თეო-  
რიულ დონეზე. იცის, როგორ შექმნას ლექსი ისე, რომ არ გაიმეო-  
როს სადღაც უკვე გამოცხენებული, პოეტურად აპრობირებული  
მასალა. ნერს ძალიან ცოტას და ძალიან კარგად.  
აქვს მეტეორად გამოცვეთილი სტილი, რომელზეც ახასია-  
თებს ორი ძირითადი ნიშანი: სიუფეტი და ექსპრესია.

სიუფეტი, როგორც სიცოცხლის მთლიანობა, დრო-სივრცის  
უწყვეტობის შეუცვლელი იმბაცია; ექსპრესია, როგორც პოე-  
ტური მდგომარეობა. ერთი შეხედვით, ეს არის ზღაპარი, ასე  
ვთქვით, ბუფერული სივრცე პოეზიასა და პროზას შორის, თუმცა  
თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ პროზა აქ თამა-  
შის ელემენტია, მეორეული პლანში (რომლის ფუნქცია მხოლოდ  
ეს არის, რომ ხელი შეუწყოს პოეტური შინაარსის ნარმოქმნას.

აქედით, მასწავლიად, პირველი ლექსი. მაშის დაშული ფიქ-  
რის სამშობლოსწინ, სადაც მისმა შვილმა უნდა მოლოცინოს.  
ტრეპიალური სიუფეტი, უზრუნველ, არაფრით გამოირჩეული, მაგ-  
რამ ისიც ნომ ფაქტია, რომ საიდანაც წმდება უაღრესად შთამ-  
ბეჭდავი სილბე, ემოცია, ტკივილი. საქმეც ის არის, რომ სწო-

რედ სიუფეტის უზრუნველება ქმნის პოეტურ ეფექტს, რომელიც  
ისე ფუნქციონირებს, როგორც ნაღვი აბიზინტულ კორდზე.

არც რიტმი, არც რითმა, არც პოეტური ეფექტი, რომელიც  
ბოლოს სინამდვილე, უტყუარ, საგანი, თუმცა ყოველი სიტყვა, ყოველი  
სტრუქტურა, ყოველი დეტალი თველარის სასწრაფოა.

ეს არის ნინო დარბაისის პოეტიკა, სიტყვა, მთლიანობა.

აქ ღმერთი ცხოვრობს? — იკითხა ერთხელ სამშობლი-  
რობთან ჩაღლილმა შავშავმა რომელიც ახლა თვითონ გადის  
ღვთაებრივ ინციკატიას მხავე სამშობლოს მალღიე სართულზე.  
სიხსნა მშინღვლავიე გრინობა, როგორ იძაბება პოეტური მუხ-  
ტი, ყოველდღეურობის ზღვის ქაღიდან იშვება მშვენიერი, ნრქე-  
ლი, ამაღლემეული პოეზია.

უთოვად აღსანიშნავია ისიც, რომ ნინო დარბაისელ არასოდეს ღა-  
ღატობს ზომიერების გრანობა. პოეტი და ზომიერება? — მკითხვემ  
გაკვირვებული ოპონენტები და სამართლიანაც იუნება მათი გაკვირე-  
ბა, ყინადად დღეს მეტისმეტად კარგ ტონად არის შირნეული ზომიერ-  
ებაზე რომ არაფერი უკვია, გახალთე ტემპირებე მოხის საფუძ-  
ველთა საფუძველი. ნინო დარბაისელს ეს კარგად იცის და საქმიად  
შესანიშნავად ამტკიცებს თავიანი პრინციპების შეუცვლლობას.

ინსპირაცია და ცოდნა — საუკეთესო პოეტური მდგომარეობა!

მალხაზ ივანიძე



ფრანგი ფილოსოფოსისა და მწერლის, ფრანგული ეკზისტენციალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ქალთა უფლებებისათვის წარმატებით მებრძოლი სიმონ დე ბოუვარის ეს ამონარიდი ავტობიოგრაფიულ-ესეისტური ტექსტისთვის მე-4 ნივთიდან "შეჯამება" ასახავს ბოუვარისა და მისი განუყრელი კომპანიონის, ვან-პოლ სარტრის საბჭოთა კავშირში 1962 წელს მოგზაურობის ერთი ფრაგმენტის შიშველი ფაქტებს.

საქართველოში ამ შემოქმედებით და ცხოვრებისეული წყვილის მოგზაურობის შესახებ დაწერილა და, ალბათ, კიდევ დაერქუნა ქართველი მწერლები, თეიმურაზიძეები და ამფიტრიონები, რისი დიდი იმედოვნაც ვაგეტქს. მაგრამ ესაა მასპინძელთა თვალთდანახული და აღწერილი სარტრი და ბოუვარი, ჩვენ კი გვთავაზობთ თვითონ ბოუვარის თვალთა და კალმით გადმოცემულ შიშველი ფაქტებს, რომელიც იქნებ ძალიან ნაკლებიც გამოგვიჩვენებდეს...

სიმონ დე ბოუვარი

## ბაელჰეზანი

მთის ლამაზი პეიზაჟების გავლით მატარებელმა თბილისში, საქართველოს დედაქალაქში ჩავიყვანა. ნიზანძა! ჩვენ აღფრთოვანებით აგვიწერა ეს სანახევროდ აღმოჩენილი ქალაქი, რომელიც მას ომამდე მოუნახულებია, იმ დროს, როცა ქალაქს ჯერ ტაფლის უწოდებდნენ. მტკვრის ორ ნაპირზე გაშლილ და სამი მხრიდან მთებით გარშემორტყმულ თბილისს შემოუნახავს მშვენიერი ძეგლები და ძალზე თავმჯდომარე ძველი უბანი: ვინოქუჩიანი,



ვან-პოლ სარტრი და სიმონ დე ბოუვარი

ციცაბო, მოჩუქურთმებულ აივნებიანი ხის სახლები. მაგრამ უბანს ეგზოტიკური ხასიათი დეკორაცია: ციცაბო ფერდობებზე შეუქცნილი ქუჩები, სადაც მუხლიმები ცხოვრობენ, დაკლანჯილი და ტუჭიანი, საცხოვრებლები — უბადრუკი. თბილისის შესასვლელთან ქონახების უბანიც შეგაშინეთ, თუშუცა ქალაქში ბევრი არ გვისიყრნია — მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რომელიც ჩვენ გემურვებოდა, ყოველგვარად ცდილობდა მისგან გავერიდებინეთ. იმ ზაფხულს საქართველოში მიმოსვლის ზღვარიც იდგა: საფუძემოყვების წინ გრძობი რიგები გაქიმულიყო, დიასახლები გმიხედნენ, ორი თუ სამი დღე პური დევიტორტ გახდა. ერთ საღამოს მწერლებმა საცხამოდ მიგვიჩვიეს რესტორანში მთაზე, რომელსაც მთიანძინა ჰქვია და რომელიც მთელ ქალაქს გადაჰყურებს; ხუცმა აღგვაფრთოვანა: განათებული ქუჩები, ეკლესიები, მინარე. ორი საათი გვალოდინეს, ვიდრე დავცხამებდნენ მაგიდასთან, სადაც მწირი სუფრა გავკიშალეს. ამ მკორეოვინი საკვების მოპოვებაც გაჭირვებით მოუხერხებია შეუ-მხარეულს. ჩვენს სასტუმროში ისეც მომხდარა, რომ სალაზემდე თვეზის ციციკნა ულუფის მეტი არაფერი მოურთმევიათ.

დედაქალაქი თუ კარგად ვერ ვნახეთ, სამაგიეროდ, საინტერესო ექსკურსიები გვიქონდა ქვეყანაში. პირველი მცხეთაში მოვიყვანე, ძველ დედაქალაქში, თბილისიდან 20 კილომეტრის მოშორებით. მცხეთა ორი მდინარის შესართავთან მდებარეობს და შუა დაუკუნების მინუროსს

ამშენებელი გალავანი არტყია გარს. იქ მშვენიერი ეკლესიები აღმართულა. ყველაზე ლამაზი "ჯვარია", VI საუკუნეში აგებული, ჯვრის ფორმის და შესანიშნავად შემონახული. იგი მორთულია ბარელიეფებით, რომლებზეც აღმშენებლის, სულდასხვა პერსონაჟი და რელიგიური სიმბოლოა გამოსახული. ერთ-ერთად ლამაზი გზით, რომელიც ვაზით დაფარულ ფერდობთა ძირს მიუყვებოდა ზიგზაგებად და ელზასის "ლევანის გზას" მაგონებდა, მდენიუმების ცენტრის დასათვლიერებლად წავედით; შევედით თუ არა დიდ დარბაზში, შოკი დამემართა; იატაკთან თავები ამოყოფილიყვენ, თითქოსდა ადამიანები ცოცხლად დაეკმდები; სინამდვილეში კი ისინი ასუფთავებდნენ მინაში ამოთხრილ ორმოებს, სადაც ღვინო ახსია და სადღუნებდა. ზოგი ორმო სადღუნედა და მაცდუნებლად გამოიფურებოდა, ოღონდ ურთავპირს ციმიან-ტალახიანი აპკი ჰქონდა გადაკრული. ერთმა მასპინძელმა აპკი სინჯარა ჩაჰყი და იქიდან სურნელოვანი, გემრიელი ღვინო გავცემული ამოიღო.

გამგზავრების წინა საღამოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ — მას პრინცს! ექახდნენ, რადგან არის ტოკრატული გვარის შთამომავალია — დიდი სადილი გავვიმართა. სადილზე ალექსია! გვახალდა, ქართველი, რომელიც პარიზში გავიცანი. იგი სარტრზე აზნადებდა დისერტაციას და ჩვენ მის მიმართ დიდი სიამითით განვყვით. არ ვიცი, როგორ გაართვა პრინცმა თავი, მაგრამ დიდებული სადილი დავგავლედვარა. შეგვიპრდა, მუსიკოსებსაც მოვიყვანო. საქართველოში საუცხოო გუნდები ჰყავთ, რომლებიც ექვს ხმაში მღერაინ აკაპელის ფლამენკოსებით ხორკლიანი ძველებური ხმაგაჟილი. მე ეს ფორფიტებზე მქონდა მოსმენილი. პრინცმა ასეთი გუნდის შეკრება ვერ მოვახდინა და მიილოდ ორი ახალგაზრდა ქალი მოვიყვანა, რომლებმაც ნაციონალური სიმღერები შეასრულეს. ასაკოვნაშა მზახილობა ქალმა თავისი რეტერტუარიდან ნანყვეტები ნაიკითხა, რააც შეუკავებელი ხარბარი გამოიყვია. საღამო უსიამოვნო ნამდვილად არა ყოფილა, მაგრამ მე ეს პანქლები მუქანცავდა. ქართველებს ტრადიციად აქვთ, აირჩიონ "თამადა", რომელიც წარმართავს სულრას, წარმოიქცაშა სადღევრძელოებს, ზუმროსს, ჰყვება აბებებს. ეს რული საბატიოა და მას თითქმის ყოველთვის



პრინცი ასრულებდა. აფორი ხმები და სახალისო ამბები, რომ-  
ლებსაც თამაშ დატაცებები წარმოქმნიდა, ჩვენთვის  
მოსაწყენი იყო, ვინაიდან ორმად თარგმანს მოითხოვდა;  
ბევრმა ქართველმა რუსული არ იცოდა და ლენინ კიდევ ქარ-  
თული, თამაშობა ალბათ გლხნური ტრადიციისა; ადამიანებმა,  
რომლებიც ლაპარაკს მაინცდამაინც დაძველებილი არ იყვნენ,  
ეს საშუალება გამოიგონეს სადღესასწაულო სუფურების  
გასაცოცხლებლად. ამ ჩვეულების დიდი სამსახური უნდა  
გავანიხ იმ პერიოდებში, როდესაც ყოველგვარი საუბარი  
საშობი იყო; ოსამდე სტალინმა გადაასახლა და დაბრუნდა ლა-  
მის ყველა ქართველი მწერალი და ინტელექტუალი.

მანქანით გაუყვევით ძალზე ლამაზ ზხას, რომელიც თბი-  
ლისიდან ერევანში, სომხეთის დედაქალაქში მივყავართ...

ფრანგულიდან თარგმნა  
სინო ციხაძერძი

შენიშვნები:

1. ჰოლ ნინია — ფრანგი ფილოსოფოსი, ესეისტი და რომა-  
ნისტი, გან-ზალ სარტრისა და სიმონ დე ბოუვარის შვეგობარი.
2. აქ და ქვემოთ იგულისხმებან სარტრ და ბოუვარი.
3. ფრანგული „პრინცი“ უფლისწულს ნიშნავს და ქარ-  
თული „თავადნი“ აღმნიშნელიცაა. თავადი, რომელზეც საუ-  
ბარია ტექსტში, მწერალთა კავშირის იმდროინდელი თავმ-  
ჯდომარე ირაკლი აბაშიძეა.
4. ეს უთუოდ ქალბატონი შხია ბაქრაძეა, რომელმაც  
დახუთ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე რამდენიმე წლის  
წინათ უკვე გაუზიარა შეიხთველს სარტრსა და ბოუვარან  
თავის შეხვედრების შთაბეჭდილებები. ბოუვარი ითვალის-  
წინებს სამეფო რეჟიმის განსაკუთრებულ მკაცრ პირობებს  
და „შხიას“ დამოფრგან ამიტომაც ამჯობინებს „აღუქსად“.
5. ლენა ზინინა — შთარგმნელი, რომელიც მოსკოვიდან  
მოკვევბოდათ სარტრსა და ბოუვარს და რომელთანაც შეგობ-  
რობდნენ.

წლთაბი და წლავი

როსტომ ჩხეიძე

პერტარი და...  
ლელი პერტარი

თვითმკვლელობის უნი აეკვიტობოდა იოპან ვოლფგანგ  
გოეთეს, სულაც გათანაგვად და თავის პერსონაზე რომ გადა-  
ტანდა ამ უმბაძრეს, დამორგუნველ განცდას, ფსიქოლოგიურ  
ნიუანსობრობით მიადევნებდა თვალს ვერტერის სულში  
დატრიალებულ ქარიშხალს, რაკილა მარტინდენ მწერლის წარ-  
მოსახვა კი არ ასაზრდოებდა „ახალგაზრდა ვერტერის ენება-  
ნის“ შთავარ გემრის, არამედ უფრო გრძნობანი — ტლანტი და  
საკუთარ თავზე გამოცდილი მტანჯველი ფორიაქი ერმა-  
ნეთს შერწყმობდა და ისეთ ხასიათად გამოიკვეთებოდა, ასერი-  
გად რომ შეძრავდა რომანტიკული ეპოქის კმანტილკაცობას.

თვითმკვლელობის უნი აეკვიტებოდა სილვია პლათის,  
სულაც გათანაგვად და თავის პერსონაზე რომ გადამიტანდა  
ამ უმბაძრეს, დამორგუნველ განცდას, ფსიქოლოგიური ნი-  
უანსობრობით მიადევნებდა თვალს ისეთის სულში დატ-  
რიალებულ ქარიშხალს, რაკილა მარტინდენ მწერლის წარმო-  
სახვა კი არ ასაზრდოებდა „ზარბუფის“ შთავარ გემრის, არა-  
მედ უფრო გრძნობანი — ნიჭი და საკუთარ თავზე გამოცდილი  
მტანჯველი ფორიაქი ერთმანეთს შერწყმობდა და ისეთ  
ხასიათად გამოიკვეთებოდა, ასერიგად რომ შეძრავდა ფემინ-  
ისტურად განწყობილ წრეებს.

ვერტერი თავისი დროის მეამბოხეა.  
ესათორ — თავისი დროისა.

„ახალგაზრდა ვერტერის ენებანი“ გოეთეს ავტობიოგრა-  
ფიული რომინია.

„ზარბუფი“ — სილვია პლათის ავტობიოგრაფიული რო-  
მანი.

ცხადია, სხვადასხვა განზომილებაში ტრიალებს ეს ორი  
შემოქმედი — ერთი კაცობრობის უდიდეს სახელთაყვანი,  
მეორის ნულილი გაცილებით მოკრძალებულია დასავლურ  
სალიტერატურო პროცესში, მაგრამ ამ ორი თხზულების შე-

დარებას ინვეს თვითმკვლელობის მოტივი — ერთდროუ-  
ლად გამოვლენილი მწერლებშიც და პერსონაჟებშიც.

სილვია პლათი დიდი ხანი არ არის, რაც ქართულ ენობ-  
რე სიერეში გაშობნდა: პოეტადაც და რომანისტადაც. და  
გამოწნად სრულფასოვანი სახით ორივე სარბილზე, რაკილა  
ლექსებისა და „ზარბუფის“ ქართულად ამტყველებაც თავს  
იდი ლელა სამწიანოვლია, ვინც მინებული ესეიც წარუმბლვა-  
რა რომინის ქართულ რეულის, პლათის ფსიქოლოგიური  
პორტრეტი — ავიდრე ზარი არ წერიათბობს“.

ეს ორი წიგნი — ათწინანი შუამდები გამოცემული —  
პროფესიულ განსჯას მიოლის, თუღვი მანამდე არ ანეტედა  
ზოგადი შთაბეჭდილების გამოთქმაც, მოწონების ეპითეტებ-  
სა და სტრიქონებს რომ გულისხმობს.

ლელა სამწიანოვლის სახელი იმთავითვე მიგვანიშნებს, რომ  
ლექსების რეკალიც და რომანიც ისეთ ენობრე გარსში იქნება  
მოქცეული, თითქოს სილვია პლათის ქართულად დაქრეშისა. და  
ეს მოლოდინი რომ არ გაავიტივებებდა, მითულთ ხელშესახე-  
ბად განვიცდით ანერეკლი ლირიკოსის ტრავიზმს და საერთო-  
საც, გადამკვეთ მხრებსაც უფრო კანიოვად ვადასტურებთ  
მის პოეტურ ხილვევსა და ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებს ბო-  
რის, ისეთი გულადავლობით გადმოცემულის, რომ „ზარბუფი“  
დღურებისაგან ხშირად ვერ განხვსხვავებიათ.

შავრან ეს მინც ვარეგული შთაბეჭდილებება, რადგანაც  
ჩაღრმავება და ნიუანსობრივი შესწავლა-გააზრება განხვს-  
ვებს საკმაოდ გეთვალსაწინოებს:

— პლათის დღურები მათი ავტორის მომწილური ემო-  
ციებისა და ფაქტებზე უშუალო რეაქციების ნეცეტილი ნიადა-  
რებია — შინაგანი იმპულსების, როგორც რაიმე სახის ნალ-  
მების სასწრაფოდ გარეთ გამოტანისა და ქალაღზე მათი გა-  
უნებებლყოფი აქტები. „ზარბუფი“ კი ბოლომდე ვააზრებუ-  
ლი, სამინებლამდე გულწრფელი, მაკარამ მწლობრი, ტრეტრის-  
პეტეტული ნაწარია. შეიძლება წარსულში ასეთი თანმხედვე-  
რული, მიზანმიმართული ჩაწერებაც კი გახდა ავტორის  
„ზარბუფის ქვეშ“ ხელდასა მისეგადრის მიზეზი. აიფერად —  
მთელი სასუსიტი ჰეროს ახაზრეგითი, სასიკვდილო.

ლელა სამწიანოვლის ამ განმარტებამი გაყოფიდ მოწანს  
რომინის მხარეული თაისუბრებაც და მწერლის მიმწყ-  
დომაც სიკვდილ-სიკოცხლის ზღვარზე, შიშველი ტრეფებთ  
სიარული სასწრაფკეთისა და შედელობის ეკლებზე.

წინასიტყვაობაში დამონშებულია ციტატა კრიტიკულ-ესთეტიკური სტილიდან, რომელიც „ზარხუფი“ შედარებულია პლათონის ლექსების უკანასკნელ წიგნს თავისი პირდაპირობითა და სიბასრით, და რაც მთავარია, განთქმულია მოულოდნელი და შთაბეჭედავი შეხედულება: ამ წიგნს ჯერომ სელინჯერის ფინი თუ დანერ-და ათი წლის შემდეგში, ეს ათი წელიწადი ჯო-ჯობინო რომ გაეტარებინათ.

ქნელია, უფრო ზუსტად და ლაკონურად განასაზღვრო „ზარხუფის“ არსი.

ამ ავტობიოგრაფიული რომანის დამწერი სწორედაც მოლდენ კოლფილდის და თუ იქნე-ბოდა, ამგვარი ცხოვრება რომ რგებოდა, სილ-ვია პლათონს რცერვ; და იმ დრამატიზმით აღ-სასვე ლექსს რომ ქნოდა, „ლდეი ლაზარეს“ სახელწოდებით, აღდგომის მისტერიაში ჭერებდა იმ დიდ სულიერ განახლება-ფერის(ცვალებას, ურომოსილიდა უიმედობაში იძირებოდა დღმერთსმოუღებულ სამყარო, თუმც იმასაც მინიშნებად ყვე-ლას, დიდი შინაგანი ტანჯვისა და ვებნათაღვლის გარეშე ფე-რის(ცვალება მიუწოდომელი დაგრებათ და მარტოდენ მის ილუზიას უნდა დაჯერდეთო.



ს.ს.ს.ს.ს.

სიყვლილი არის ხელოვნება.

ისე, როგორც სხვა ყველაფერი.

თუმცა მე იგი ყველაფერზე უკეთ გამომდის.

ისე გამომდის, უფროხეობის სუნთქვას მოუსწევს,

წამდევინსაგან ვერ განასხვავებ,

იტყვი — ჩემი მონოდედაა.

ეს იოლია გააკეთო თუნც სამარეში.

თან — ჩაქოლილი უძრავად იწვე.

ეს არის სცენა თეატრალური

შენ უზრუნველბი დღის საიათლეს,

იგივე ადგილს, იგივე სახეს

და იგივე შეკოვლებას:

„სასწაულია!“ —

მე რომელიც გონებას მართმევს.

ესეც გვა თვითგადარჩენისა — ლაზარეს ამბავს შენებუ-რად გადაცხადებ, ოთხი დღის მკვდარსა და გაცოცხლებულ გმირს ქლად გარდასახავ, შუნ თვითონვე გაბეგვეი მის ტყაე-ში და ახლებერი განცდებით აღესილ და ანთებული თვით შენთვის უსავეარლეს მწერალსაც კი ჰკადრებ სავედურს, პირველია უფლეს: ტენზაში თავი რამ დაგახარობინათ... და აღტაცებული მიაჩერდები საკუთარ ორეულს — ჯანმრ-თელს, სიცოცხლელი სავესხა და ძალიან, ძალიან ზედწიერს.

თურმე აქედან სულ ერთი ნაბიჯი რჩება... თვითმკლე-ლობამდე.

ეს ის ნამიერი გაბრწყინებაა, რომელსაც მძიმე, გადაუ-ხარება დეპრესია უნდა შეენაცვლოს.

გოთემ მთლიანად პერსონაჟს გადაულოცა თვითგვემაც და სხვა მტანჯველი განცდებოც და ის იარაღიც მასვე შეაჩერა, თვითონ რომ დაპურებდა მწარე ფიქრებით მოცული, იმას გა-ასრლონა, იმას დადიანა სისხლი და სამარეშიც ის გაისტუმრა, რათა ყოფით რეალობაში ეს აქტი აღარ განმეორებულყო.

მხოლოდ ასე თუ გაათვისსუფლებოდა „დაუსტრის“ შემქმ-ნელი თვითმკვლელობის თინისაგან, რომელიც უკვე აღარა-ხოდეს ადრევედ ხელს.

ვერტერმა შეცვალა თავისი შემოქმედი.

ის შევერთა გოეთეს გადაარჩენას.

პლათონც ეს სცადა განა არა — მთლიანად პერსონაჟისათვის გადაულოცა თვითგვემაც და სხვა მტანჯველი განცდებოც და რამდენჯერმეც ძალუდად უშიგა თვითმკვლელობის აღსასრუ-ლებლად — ეიფერ ესთერი ფსიქიატრიულ საა-გამყოფოში მოხედებოდა... და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხედების შემდეგაც.

მაგრამ ვაგებებთან მანც ვერ გაიმეტებდა. და, შეზღაბულებულ, შენაფანაზით გამოი-სნიდა ამგვარი ფიქრებისა და განცდებისაგან.

ესთერი ჩვეულ ცხოვრებას რომ უბრუნდება, დაბეჯითებით გრწმობ, რომ თვითმკვლელობის ყრნი უკვე აღარსადეს დარეცხ ხელს. თუმც... ესთერის თავისი შემოქმედი შეცვლდა.

ვერტერობას ის იკისრებდა.

ლდეი ლეიზარე ლდეი ვერტერობასაც დათანხმებებოდა. რაკიღა თვითმკვლელობის აქტი პერსონაჟს არ აღსარე-ლებინა, ვერ გამოდგენა ეს ფინი საკუთარი არსებობად, რად-განაც ესთერის გადაარჩენისათვის უფრო ზრუნავდა, რათა ასე ნაადრევად არ გაეტუმრებინა სამარეში, მამ თვითონ სილვია პლათონს უნდა გამოეტანა ეს განარჩენი თავისი ცხოვრე-ბისათვის და პერსონაჟის შემოხრუნებას სიცოცხლისაკენ თვით მწერალი უნდა შენარეოდა იმ სამყაროში, სადაც ვარს-კვლავები მარადისობის ქუჩრტყვანებს კი არა, სიმკვეთი ჩა-ქედებულ ბრჭყვილა და სულელურ კონფეტებს ჰკვანან.

მინანერი:

ეს ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური ნეგი მოთავსებულიც იყო და ტრადიციის ფურცლებზეც დაინახებულს, როდესაც უკერად გაერთა ფიქრი — „მთვარის მოტაცების“ ფინალში თარამ ემხვარი ხომ არ დააღუპა იმისათვის, რომ კონსტან-ტინე გამსახურდია თვითმკვლელობის მტანჯველია ცნავდი-საგან გაეთავისუფლებინათ?..

თარანის სახეში ხელშეხახები რომ არის მწერლის ავტო-ბიოგრაფიული ნიშნები, ამ მსგავსებებს სოსო სიგვას ნაპრო-მებშიც ამოიკითხავთ, ოღონდ დამაფიქრებელი ისაა, რომა-ნის ფინალური სურათი პირწმინდად მხატვრული ჩანაფიქრი-თაა გამოწვეული თუ თარანის აღსასრულს ფსიქოლოგიური ძირებზე ეყრდნება მწერლის ბიოგრაფიაში?..

კონსტანტინე გამსახურდია, ვინც ქართულად თარგმნა „ახალგაზრდა ვერტერის ენებანი“ და შექმნა ბიოგრაფიული რომანი გოეთეზე, არამარტო ღრმად ერკვეოდა გერმანელი მწერლისა და მისი პერსონაჟის ურთიერთობის ფსიქოლოგი-ური სახესის, არამედ შეეძლო გაეთვალისწინებინა მისი ის გადანყვებულება — პერსონაჟს რომ ვადაბაბა თვითმკვ-ლელობის განზრახვა — და თვითონ კი არ ვადამუცხლყო ანობობრებულ ენგურში, არამედ თავისი გმირი ვაგეზაფა იქით. იქნებ შეგებულადა, იქნებ ცვეშეცნეულად ყოველ შემ-თხვევაში თვითონ ასცილებოდა მის ტრავიკულ ხედვებს და ექებნა გვა დრო-ვაშის სიბოლოურის გადასატანად.

მამ „ვერტერის“ თავისუფალი თარგმანიც ამ განცდებით უნდა იყოს გამოწვეული — გოეთეს ფიქრებისათვის საკუთა-რი ფიქრებზე უხვად რომ მიუდევებია და გერმანულ მასა-ლზე დაყრდნობით თითქოს საკუთარი რომანი შეუთრზავს.

და ასე ვაუკვლავს გვა „მოვარის მოტაცებისაკენ“. მერე კი მასაც ვაუკვლავით უკერად ნება ვამაგებინა, რატომ არ ყოფნით დადაინებნ სიმამაცე, რომ ხანგრძლივად იცოცხლონო?!



აგერ თხოვთეტი წელიც მიწურა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზეიად გამსახურდიას ტრაგიკული აღსახრულიდან და დაბეჯითებით ვერაღ ვაგურკვევლია - მკვლელობა მოხდა თუ თვითმკვლელობა?.. კვლავკვლავ ვაგურდებისა და ფანტაზიისა ანაპარა ვიყოფებით. ოლიგარქული ვერსიაც კი არ არსებობს და იქნებ ახლა მაინც შეიძლება ვარაუდო - კონსტანტინე გამსახურდიას მკვლელობის ენერგეტიკა ჩართავს ამ იდუმალებით მოცული ამბის ძიებაში გამოილის შესაფერისი ნაყოფი. ვერ დავიფარყო და ვერ დავიფარავ და ისიც აღარ ვიყოფდეთ, თუ რა მოხდა სინამდვილეში?..

წელი გაიდამაკის მებრუნული თხზულების ფინალი, რომელსაც დამოუკიდებელ მინიატურად ვთავაზობ მკითხველს, ლიპობით ხასიათდება. ასეთი ღია ფინალი შესაძლოა მამინაც ამუშავების შემუშავებისა თუ მხამებულ-დოკუმენტური თხზულების ავტორმა, თუდაც ემჭებრუნაღად რომ დადგინდეს იმ საბედისწერო დღის ვარემოვანი - ხილული თუ უხილავი. ოღონდ მაშინ ეს მჭებრუნული ზერხი იქნება, ისეთიც, მიზეზელ ვაგახიშვილმა რომ მიმართა „არსენა მარაბდელის“ ფინალიში. ამჯერად ელ ლიპობას გულნაკულობაც დაერთოს - უახლესი ისტორიის შესაფერისი, მიუკერძოებელი გაშუქება რაღა ზედუნა, ესეც რომ სათავისისაცემო გავგებოშო.

წელი გაიდამაკი

# უკანასკნელი გზაჯვარედინი

დეკემბრის სუსხიანი დღე იყო. მთებში დიდი ხანია ყინავდა. ზუგ-დოღში თითქმის ყოველდღე ჩამოაყვადით და ჩუმად ახალგაზრდებდნენ კანონიერი მთავრობის ერთგულ ჯარისკაცებს, რომლებიც სიცოცხლისგან ტყვეში იყინებოდნენ. მთავრობა ტელევიზორით აცხადებდა: „უინც თაფლის ფეხით გამოცხადებულა და იარაღს ჩააბარებდა, შეეძლოთ თავისუფლად დაბრუნებოდნენ თავიანთი კერებს, ან სახელმწიფო ჯარში ემსახურათ“.



შიშშილია და სიცვიით განანაშტი, ტყის შეფარებული, პრეზიდენტის მომხრეების ნაწილი იძულებული იყო იარაღი ჩაებარებინათ, ნაწილი სხვა ქვეყნებში გადაიხვეწა, ნაწილი პრეზიდენტის დაცვაში დარჩა.

ზეიადის ჯანმრთელობა უარესდებოდა, მიუხედავად მასპინძლის მცდელობისა, არაფერი მოეკლათ მისთვის. პრეზიდენტი გულნათობრივად იყო, თითქმის არაფერს ჭამდა. რალაც წერდა, ჩაფიქრდებოდა და კვლავ წერას გააგრძელებდა. რამდენჯერმე სთხოვა კიდევ თავის ხალხს დაეტყუებინათ და წასულიყვნენ, როგორმე გადაერჩინათ საკუთარი თავი.

საქართველო სამუდამო ვალშია მას წინაშე. თუ ახლა თქვენს სახელს ჩუმად წარმოსთქვამენ, დადგება დრო, როდესაც ხმაძალა იტყვიან, რომ საქართველოში იყო, არის და კვლავაც იქნება ხალხი, ვითვისაც ძვირფასისა საქართველო, მისი ერთგული მთავრობა და რწმენა საქართველოს თავისუფლებისა. დღეს ბევრი მათგანი მომეფთა მიერ გააღდგურებულა, ბევრი ციხეებშია, ბევრიც იმედით შეპყრებს მომავალს და თავის დროს ელის.

31 დეკემბრის ადრე გაიღვიძა ზეიადმა, შედარებით მხნე და გამოიყურებოდა, პირი გაიპარსა, ჩაი დალია და ოთხმაშ მარტო დაჩრქნა ითხოვა. რალაცას კითხულობდა და წერდა.

საღამო ხანს მასპინძელმა საახალგალო სუფრა გააწყლო, ღარნაკები ნაძვის ტოტი ჩადო, სანძღები ააწიო და ფრთხილად კარზე დაუკაკუნა. „თუ შეიძლება მობრძანდით ჩვენ

ღარიბულ სუფრაზე, ერთი ჭიქა ღვინო დაგილით“ - სთხოვა მასპინძელმა.

ზეიადს თეთრი სუფთა პერანგი და შავი კოსტუმი ეცვა. თვალები ჩალაშებული ჰქონდა, ღლილი ნაძალადებს მთვავადა, მაგრამ იყო რალაც ანაღლებული და მიმზიდველი მის არსებაში. ახანაგები უზეველო მოქრძალებით ვანწყენენ მის მიმართ. დესანდები „ახალ წელს გლომარჯოს“, თქვა ზეიადმა და ჭიქა ასწია, სასწრაფოდ სუფრიდან წამოადგა და თავის ოთახისაკენ გაემუშა. ვერაფერს ვაგებდა ეკითხა, რატომ, რისთვის, ზომ არაფერი სტივადი. დანარჩენებიც წამოიშლნენ, მასპინძელთან ბოღიმი მოიხადეს, რომ სუფრა არ გამოუვიდათ. ვინც სადარბაზოში დარჩა, უხერხულად დღუმიდა.

თოვა დაინყო. ფართე ფანტიტლებიანი თოვლი ფრთამოტელები შეპლებიებით მოფრინავდა და არამარეს თეთრ სუფრაში ახევიდა. მასპინძელმა ზუსტად კუნძი მიუშტა და ნაკვერჩხლები გააღვივა, ავარდნილმა ალმა დარბაზი გააწიათ.

„იქნებ თქვენ შეხედეთ და ნახოთ, როგორ არის, ზომ არაფერი სტივადი“, - უთხრა გვარდელმა ზეიადის უახლესს თანამებრძოლს, რომელსაც მასთან ერთად ინვა ოთახში.

„არა, უხერხულია, ეს მას უფრო გააღვიანებს“. უტბად ოთახიდან ზეცლების ხმა მოისმია. თანამებრძოლმა ვაგებდლად შეალო კარი. ზეიადი ვაუხდელად ინვა ლოგინზე, თვალები დახუჭული ჰქონდა.

წაალი მოხანძრეთ, შეცვლილ საძინებელ წვას ევკრძნობ. დალია და ისე ნაწონვა. გვერდით სკამზე ბოლია და რვეული ედო. მასპინძელმა ოთახში ორი სანთელი ააწიო.

„იქნებ დარბაზში წამობრძანდეთ, იქ ზუღრის პირას უფრო თბილა“, - უთხრა კარებში მდგომმა რაზმელმა.

„მე აქაც მცხელა“, - ვაგასესხა ზეიადი.

ლოგინზე წამოუჯდა, კიდევ ერთხელ დაათვალიერა დეამისა და ცოლ-შეილის სურათები. სახეზე სამწვიდ და ნათელი ვადეფინა, თითქოს არაფერი ანსუნებდა, არაფერი ვაფრობდა. დიდხანს და მონდომებით მისქერებოდა საცვარულ სახეებს. ცდლობდა სამუდამოდ დაეკავსოვებინა თითოეული მათგანი. შემდეგ სათუთად ვაგახია და ისე გულის ვეფიში ჩაიფო.

„ღმერთო, რატომ, რისთვის“, - ჩუმი ჩურჩული მოსწყდა ბავეცის. მწებრებაშ შუბლი დაუღარა. შეცბა, ეს რა ვიქიო - უთუო საყვედურთ? თუ ერთიიც და მეორეც. „მაპატიე, ღმერთო“, - შეთხოვა ვამაზეციკის და პირვეარი სამჯერ გადაინერა. ისეც დამშვიდა, ისეც ვაუნთიდა სახე.



ვალენტინა ხახალია

# ქართული ტელევიზიის სათავეებთან

ტელევიზიას (იგივე შორს ხედვა) კაცობრიობამ XX საუკუნის საოცრებად რომ მონათლა, ხოლო ფრანგებმა სიცვა-რულით უზარალოდ „ტელე“ შეარქვეს, საქართველოში დასაბამიდან უკვე აქვს ნახევრისათუკუნოვანი ისტორია. ნახევარის საუკუნე — ისტორიისთვის ნაძი (იქნებ არც კი) ადამიანისთვის მთელი სიცოცხლე!

ვინ იცის კიდევ რამდენ ლამაზ სტრიქონებს გვაზიარებდნენ ქართველი ნიკოლოზ ბარათაშვილი, მოტლანდიელი რობერტ ბერნსი, რუსი მიხეილ ლერმოზტოვი, ინგლისელი ჯორჯ ბარონი, რომ უფალს თითოეულისათვის 50 წლის სიცოცხლე მაინც ერქმებინა...

დიხს, ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ფურნალისტთა ერთ მუჭად შეკრულმა, საოცრად მცირერიცხოვანმა ვჯუფმა კაუმონგაბმულოვის მუშაკებთან ერთად სათავე დაუდგო შედეის ახალ სახეობას — ტელევიზიას საქართველოში.

პირველ რიგში თორეოდ სიტყვა იმაზე, თუ როგორი სიტუაცია იყო, არამე არანერ შორას დავუხსნავთ როგორი კლიმატი (climats) იდგა ამ სიტყვის ფართო გაგებით, როგორი ატმოსფერო სუფევდა იმხანად თბილისში და არა მარტო თბილისში, არამედ მთელ საქართველოში;

იდეა 1956 წელს. წელნაში, შეიძლება ბევრი შეკითხვით, მაგრამ სიახლოვე გამოჩნულყო; ოქროსფერი შემოდგომა თავისი სურნელით, ხვავითა და ბარაკით უკვე ისტორიის კუთვნილება იყო. სამაგიეროდ ზამთარს მოეკრება ძალა და მისი სუსხი კარგად ატანდა ძვალსა და რბილში. მეტიც-მეტად სუსხიანი იდეა დეკემბერი.

მართალია ქართველ კაცს არ აკლდა სარჩო-საბადებელი, კომოვტიკი, კინო, თეატრი, გართობა, მაგრამ მის მიხედვით მიიხედ დაბაოჯებდა თავის საფიციარ თბილის-ქალაქში; მას ხომ ვერ ეძვემევავედ აწინდა ნატყვიარი — 9 მარტის „საჩუქარი“...

აგის მუწყებელი შვიი ღრუბელითა აწვა საქართველოს სიჩუმი, პროტესტის მანიფესტის დემონსტრაცია...

უკვე რამდენიმე ათეულ წელზე მეტი იყო გასული მას შემდეგ, რაც 15 საუკუნის მამილზე ნინაში სამიხნედ ამოღებულ, მრავალჯონს იავარქმნილ, მაგრამ მაინც ვადარჩენილ თბილისს არ ევეგნა დაუპატყიებელ მომხედურთა ცეცხლი და მახვილი, სისხლის ნილივარი და ყველაფრის ნაცარტუბად ცქევა, რაც ღირებული იყო, მაგრამ უძრავი, რადგან, რასაც ზურგზე ვერ იკიდებდნენ და ვერ მიქონადით ცეცხლს აძლეოდნენ...

შესაბამისად, იფორებდით ყველაფერი კარგად არისო, მაგრამ იგრნობოდა, აწკარადა ჩანდა, რომ იყო რაღაც, რაც მას, ქართველ კაცს სულსა და გულს უშვებრედა, არ ასვენებდა, ატმოსფეროს უშიმიმებდა. ეს რაღაც იყო შელახუ-

ლი ეროვნული თავმოყვარეობა — როგორ თუ ქართულმა გენმა, მართალია მთელი რუსეთის მხარში ამოფლომით, მაგრამ მაინც მიადნია „კაეის და გუთნის რუსეთი, ექცია ატომის რუსეთად“, როგორც ეს უნსტონ ჩერჩილმა ზრძინა, მსოფლიო ეხსნა პიტლერის ფაზისტური ურწმუნისაგან და მას, ან უკვე იმ ქვეყნის შევიდის, ნახლი რომ „საიქიოდ“ მოხსენიებს აღარ ასვენებდნენ;

დიხს, მთელ საქართველოში იდეა ნიკიტა ხრუშჩოვის ენ. „დახურული წერილების“ კორიანტელი, რომელიც მიზნად სხვას არაფერს ისახავდა თუ არა ამ ქართველი კაცის — იოსებ ჯულაშვილის გაბიარებუბას და თავსლავდასხმას, და ეს მაშინ, როდესაც საქართველოში და არა მარტო აქ, ყველა ცივილიზებულ ძვეყანაში უფიადეს უსწრაზად ითვლებოდა და ითვლება ძვეყანებულის აუჯად ხსენება. ყოველ შემხსვევამი საქართველოში, აბაბთ, აწელად თუ ვინმე ვაწრდოდა, ერთხელ მაინც არ ვაიგვანა ფრახა — „მიჯადებულზე კარგის თქმა თუ არ შეგიძლია, აუჯს მაინც ნუ იტყვიო“.

ნაღველი, ბოღმით სავსე გულით და დუმლით უფიდა ქართველი კაცი ნატყვიარ კედელებს, მდუმარ თანაუარმობდა იმ უწვერულვამო ქაბუტყბისა და გოკონების მშობლებს, ფიცხლად, ლამის უტრემლოდ რომ მიაბარებოდა სწილები მშობლიურ მინას.

ამაფერულად დაეკირვებოდ თვალს არც ის გამოეპარებოდა, რომ ხედელებს იმ დროისთვის რაღაც უწვეულად, და ეს უწვეული იყო იმ ზიძეის შედეგი, რაც 1956 წლის 9 მარტის ტყვითა ზუზუნს მოყვა. ეს იყო ეროვნული თფიგამორკვევის სურვილის გაღვივება საქართველოში, ქართველ კაცში. ეს ხომ მაშინ, და სწორედ მაშინ — 1956 წლის მარტის დღეებში გაისმა პირველად „კაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“, „ძირს რუსეთის იმპერიაო“, მაგრამ ტყვითა ზუზუნს, ყოლის შემდეგ (!?) ტყვით, რომელიც საქართველოს უსწარტრის ცვენრალურ ოპიიტეტის პირველი მდივნის, საოკრად მართალი, კეთილი და პატრიოტიკი ადამიანის — ვასილ მჭავანაძის ყვირილისა, მეტიც ზღაგელსა — «не сдержан», «не сдержан!» (რასაც ჩემი მუედლე, მისი თანამეგნე გ. მელაძე შესწრო), ტყვია მაინც გაავრდა, მეტიც, აკაკანდა და მალე ყველაფერი ჩანწყნარდა, ჩაქრა... ყველაფერი, როგორც მოგახსენეთ დემონსტრაციის, პროტესტის მანიფესტებელმა დემიძლემ მოიჯცა.

დიხს, გარეგნულად თითქმის ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ თუ ღრმად ჩაიხედავდით იგრნობოდა დულილი, იგრნობოდა როგორ უსწრებდა ერი თვალს რეალობას, რა კრიტიკულად აფასებდა მეუღლ ერეკლეს ნაბიჯს, ავირდებოდა, აანალიზებდა ტრაქტატის ყოველ სტრიქონს, ადარებდა მას რეალურ ვითარებას და ყოველ უსუსტობას, ტრაქტატი გათვალისწინებულა ყოველი მუხლის მუუსსამაზობა რეალობასთან (თითქმის თვალთ ახლა აეხილაო) გულს უტლავდა, ბოღმით აესებდა.

ალბათ, ჯობდა რუსეთისთვისაც და საქართველოსთვისაც რუსეთის ყველაფერი ისე ეკეთებოდა, როგორც ტრაქტატი, მის მიერ ხელმოწერილი ტრაქტატი კარნახობდა, მეტიც, ავალდებულვდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ სიტყვისა და საქმეს შორის შერიოდლად ირწვეოდა შესატყვისობა; სიტყვისა და საქმის შუესაბამობას, მოგვსენებთ, მომაკდინებელი შედეგი



თქმა გვათავისუფლებს შეგრძნებათა ჯადოსნაგან.

26 მაისი, 2008 წელი

იმას, რასაც რელიგიის ენაზე საყვარულს ეძახიან, მეცნიერების ენაზე წესრიგი ჰქვია.

ჭეშმარიტება ენის მიღმაა. ენის ჭეშმარიტება სხვაა, სულის ჭეშმარიტება სხვა; აზროვნების სიგრცე მათ შორის გადის და არა მათზე. თუმცა ენასაც აქვს თავისი სული, თავისი ჭეშმარიტება და წესრიგი, ანუ გრამატიკა.

წესრიგ არის სიმშვიდე, თანმიმდევრობა, შეთანხმება და ზავი, რომელიც მთავარია „მე“.

სიყვარული — მულეღარება, წყვეტა, ძიება, ბრძოლა და გმირობა, რომელიც მთავარია „იგი“.

გმირობის ესთეტიკა რაინდთა აჩრდილებს გაჰყვია.

და დეგრძით ცივი წესრიგის ამარა, გათავისუფლებულნი ყოველგვარი მოლოდინლობისაგან, რომელიც ყველაფერი და ზღველულია და დამატებული თანმიმდევრობისა და წესრიგის კანონებით და მთლიანად დაცლილი რისკის მშვენიერებისაგან.

სიყვარული რისკია და ამასთან უმაღლესი გრამატიკაც სულეცაა.

და ჩვენი სულიც ისევე სასება გრამატიკული შეცდომებით, როგორც ჩვენი ენა...

14 ივნისი, 2008 წელი

მარტობა, როგორც ღრმად ინტიმური სულიერი მდგომარეობა, ნიშნავს შინაგან და გარეგან სამყაროებს შორის ვერბალური კავშირის წყვეტას, ენისა და ფორმების უსუსურობას, მათ უადგილობას, უზერულობასა და ელვარულობასაც კი; როცა ყველაფერი ხდება შიგნით და არაფერი გარეთ...

და სამყარო დუმლით გამოუღდება, რომელიც შენგან დაუკითხავად სულადმად გართ გამოიპარა...

სანამ დუმლი შენშია, იგი კომუნუკაციის ემსახურება კიდევ: მშშდევა, როცა პროპორციები იცვლება და თვითონვე აღმორწმუნები მასში (როგორც ელკოკინა ნიქარში), იგი ამ ღირსებას კარგავს:



დუმილი ეს არის გაუცხოების მანძილი შენსა და სამყაროს შორის.

ამასთან სულიერი სახლიც, ჩვენი უჩინარი ნივარა, რომელსაც ზურგით დავატარებთ...

28 ივნისი, 2008 წელი

სიტყვები გრძნობის უნაგია, რომელიც მას გარედან ქაშის თუმცა ძვირფას ლითონებს ჟანგი არ ედება...

21 ივლისი, 2008 წელი

ჭეშმარიტება იდენტობის მანძილია სადგენება და მათ შეესაბამება წარმოდგენების შორის.

ყველა მანძილი, მოძრაობის შინაგანი კანონებიდან გამომდინარე და სადგენება და მათ შესახებ ჩვენს წარმოდგენებს შორის არსებული სპეციფიკის, ხანიერებისა და თანაზომიერების გათვალისწინებით, ფარდობითია და პირობითი. ამდენად, ჭეშმარიტებაც ფარდობითია და პირობითი.

21 ივლისი, 2008 წელი

მსგავსება უმალ განსხვავებაზე მეტყველებს.

3 აგვისტო, 2008 წელი

გამოთქმის, გამოხატვის დიალექტიკა ასეთია: ჯერ აზრი ბატონობს სიტყვაზე, შემდეგ — სიტყვა აზრზე.

მეორე ზაფხული დგება, მაგრამ ყოველი ზაფხუ, ყველაზე ხანგრძლივიც კი, დროებითია, ომი კი — მარადიული.

— და თუ ომი გათავდა?

— მაშინ მშვიდობის გემბინოდეთ, ხალხო...

2 აგვისტო, 2008 წელი

ურთიერთობა პოეზიის ფორმაა, დასრულებული ლირებულებითი მთლიანობა, პოეტის ყველა ნების განსაზღვრული. მისი უპრობატესობა ის არის, რომ იგი რეალურია, ლაივიზი ხდება.

აკეთი მალალი ზარისხის ლაივ-პოეზია სხვა ენობრივი სივრცეა, კომუნიკაციის სხვა ხარისხი.

სადაც ფორმაა, ე.ი. იქ სისრულეა და სისავსე, სადაც ფორმა არ არის, იქ ყველაფერი საეჭვოა, ალბათ (?).

შესაძლოა ეს თავისებური თამაში და გართობა იყოს, მაგრამ ეს უსჯვე გემოვნების არსებობა და სადაც რისკის ამბავიც. პოეზიაში ხომ გემოვნება და რისკია მთავარი.

**მინანარი:**

კეთილი ნებით, მოთმინებით, კომპრომისით ყველაფერს შეიძლება მიღწილი ადამიანთან, მაგრამ ენობრივი სივრცეების ხელგონური დაახლოება უნაყოფოა და შეუძლებელი. ისინი ან ემთხვევა ერთმანეთს, ან — არა.

ეს „ენა“ ზუსტად ისევე ანგრევეს, როგორც ამწეებს (ან ზოგან ანგრევეს, ზოგან ამწეებს).

„უცხო ენების“ ცოცხალ საერთოდ ვარგია, მით უფრო, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცია ხარ(ო)?

მაგრამ ღირს კი ღამის ექვსი მილიარდი ენის ცოდნა? იქნებ სჯობდეს ერთი ცოდნა, რომელსაც ყველა გაიგებს?

ასეთი ენა დუმილია და შემოქმედება.

27 აგვისტო, 2008 წელი

ორიგინალობის კრიზისი მოქმედებისა და შემოქმედების ყველა დონეზე, კომუნიკაციისა და კულტურის ყველა სფეროში — აი, რეალური პრობლემა.

ორიგინალობის კრიზისი ესთეტიკური კონტექსტით გემოვნების კრიზისს ნიშნავს, ეთიკური კონტექსტით — სიმართლის კრიზისს.

სამყაროც ხან ერთი ფეხით კოჭლობს, ხან მეორეთი და, ვიდრე ინვალისიტილში აღმოჩნდება, ორიგინალობის ძალაუფლება უნდა აღსდგეს, უარი ეთქვას ყოველგვარ უპიროვნო ბაძვასა და სიმუღავისა.

მაგრამ მავანი იტყვის: განა ნებისმიერი ასლი თვითონ ორიგინალს არ ამკვიდრებს ცნობიერებაში? განა ყოველი ასლი ორიგინალისაგან არ მიემართება, ორიგინალის ლირებულებითი იდენტობისაკენ არ მიილტვის? მას რა არის ამაში ცუდი? — ზოგი ქმნის და ზოგი იმეორებს, განა გამეორება ცოდნის დედა არ არის?

იქნებ ასეცაა, მაგრამ ერთი სხვაობაა აქ: ორიგინალში ღვთის ხელია მხოლოდ, ასლი — ადამიანისა, ორიგინალი — შემოქმედება, ასლი — ტექნიკა, და ქვეც არაფერი, რომ არა ერთი ამბიცია ადამიანისა, რომელსაც სასწაულის ამბიციათა დავაქმნევდო.

და როცა ამ ამბიციით აუღისინო, ჩვენს ფუნდამენტურ რწმენებს რისკის ქვეშ ვაყენებთ, მაშინლა გვახსენდება, რომ სასწაულებს მხოლოდ ღმერთი ახდენს.

საბოლოოდ, სიყვარულის კრიზისიც ეს არის ორიგინალობის კრიზისიც, და პირიქით; — გემოვნებისა და სიმართლის საბედისწერო დაკოჭლება, რომელსაც თავზე მისტეკური შარავანდედი შემოეცალა და პანია რქები ამოუყვანა...

6 აგვისტო, 2008 წელი

ადამიანთა შორის ურთიერთობის ყოველგვარი ღირებულება მათ შორის განხორციელებული იდენტობისა.

18 აგვისტო, 2008 წელი

ჩვენი ენის მარიონეტები ვართ.

25 აგვისტო, 2008 წელი

თუ ბედნიერება გინდა, უნდა იცოდე, რომ დიდ სევდაზეც აწერ ხელს.

ბედნიერება სევდაა! არა დარდი, ან ნალეული, ან მოწყენა, მხოლოდ სევდა. სევდა იმისა, რაც მან შეიძლება მონათქვას, თავის სასმებერალოზე საკუთარი ხელით მიგატანინოს.

ბედნიერება კი არ გვეკებავს ჩვენ, ჩვენ ეკვებავთ მას.

ბედნიერება ფიტციაა, რომელიც ფაქტობრივად აფორმებს ჩვენი არსებობის საკუთარეს შესაძლებლობებს.

5 სექტემბერი, 2008 წელი

ყოველ ადამიანს აქვს თავისი პრინციპია. მთელი ცხოვრება ამ მისტეკურ უკუფენის გადაწერაა.

ჩვენ ისევე ამოვნივანთ საკუთარ ისტორიას ჩვენივე პერიტიკრიიდან, როგორც არარასაგან ღმერთი სამყაროს.

16 დეკემბერი, 2008 წელი

როგორიც ჩვენი ვართ, ჩვენი სამშობლოც ისეთია.

თუ რამეა ჩვენს ხელში, ეს სამშობლოს ბედა. სამშობლოს ბედი ყველაზე მთავარია, რადგან იგი ჩვენი ბედიცაა. ერთიცა და მეორეც ითხოვს უკეთესი იყოს. თუ ბედმა არ ისურვა და ამ „ბედკრულმა ქვეყანამ“ ყველა ომი წინდანიწე არ წააგო!

29 დეკემბერი, 2009 წელი



ამ ქვეყანაში მხოლოდ ორი ისტორიით ცხოვრობს ხალხი - სხვისი ისტორიით და „ერის“ ისტორიით. ანუ ყველას ყველაფერი ფეხბაზე უკიდია.

31 დეკემბერი, 2009 წელი

წესები რომ დაარღვიო, მათ უნდა ფლობდე.  
10 მარტი, 2009 წელი

ღირებულებითი თვალსაზრისით მარცხით იქნე, გამარჯვებით - კარგად. ფაქტობრივი თვალსაზრისით - პირიქით: მარცხით, ჩვეულებრივ, კარგად, გამარჯვებით - იძენ.

ამიტომაც:

გამოუთქმელობს მარცხი მეტია გამოთქმის გამარჯვებაზე;

არცოდნის მარცხი მეტია ცოდნის გამარჯვებაზე; დაკარგვის მარცხი მეტია პოვნის გამარჯვებაზე; სიმორის მარცხი მეტია სიახლოვის გამარჯვებაზე; ღალატის მარცხი მეტია ერთგულების გამარჯვებაზე; ავადმყოფობის მარცხი მეტია ჯანმრთელობის გამარჯვებაზე;

არყოლობის მარცხი მეტია ფლობის გამარჯვებაზე; არყოფნის მარცხი მეტია ყოფნის გამარჯვებაზე; სიკვდილის მარცხი მეტია სიცოცხლის გამარჯვებაზე.

აქედან: ცხოვრება მარცხია. სიყვარული - მარცხის განაწილების სივრცე.

12 მარტი, 2009 წელი

სიახლოვეში ვინაილივით სიმორც და სიმორში ვინაილივით სიახლოვეს, ბედნიერებაში - ორივეს.

14 მარტი, 2009 წელი

„იციხოვრო“ ნიშნავს, თავი არსად გამოტოვო. კლასიკური მნიშვნელობით კი, „იციხოვრო“ ნიშნავს, აირჩიო, რა გამოტოვო, ანუ აირჩიო გემოვნება. გემოვნება საზომია.

17 მარტი, 2009 წელი

მორჩილება [ზუსტად] გამოგვბატავს.  
17 მარტი, 2009 წელი

სულთა დიალოგის უნივერსალური გეომეტრია სამკუთხედს იმეორებს.

ეპოქათა და კულტურათა დიალოგიც სამკუთხედია (ანუ დიალოგთა) ინერსიაა, რომელშიც სიმეტრია დიალოგის განსრულებას (ნერტილს) გამოიბატავს.

23 მარტი, 2009 წელი

ყველაზე ძვირფასი მოგონებები და მოლოდინები მარადიულ ანშროში განთავსდებიან.

მეხსიერებას ყველაზე კარგი გემოვნება აქვს. დიახ, მეხსიერება და ცნობიერება ტოლია. მაგრამ არსებობს უტოლობები, საიდანაც ტოლობები იბადებიან.

უტოლობათა ძალაუფლება მუდმივად ებრძვის ტოლობათა ძალაუფლებას და პირიქით.

აცდუნები გვაიძულებს გავიხსენოთ.

28 მარტი, 2009 წელი

ნებისმიერი ტექსტის (მათ შორის სამყაროს, ცხოვრების) ნაკითხვის ორგანიზაციის არსებობა: თავიდან ბოლომდე და ბოლოდან თავამდე. კარგი მკითხველი ტექსტებს თავიდან თავამდე კითხულობს.

2 აპრილი, 2009 წელი

არის ჭამი ნგრევისა და დაიწყებისა და ჩვენ ვიშლებით უცხო ერთმანეთად და ვიფიქრებთ საკუთარ თავს და გვაფიქრებდა ჩვენი ერთმანეთი.

მერე დგება ჭამი შენებისა, შეკრებისა, გახსენებისა, ჩვენ ვიხსენებთ თავს, ერთმანეთში ვცნობთ ერთმანეთს. და ჩვენ ვშენდებთ საკუთარ თავში და ერთმანეთში.

შენება რომ მოხდეს, უნდა გაიხსენო შენობა, რომელიც ხარ მამონაც, როცა ეს არ იყავი.

4 აპრილი, 2009 წელი

ძალადობა, როგორც საშუალება, დროისა და შრომის ეკონომია. იგი ათლიანებს, რადგან სპობს მანძილებისა და დაბრკოლებების ფიზიკასა და მეტაფიზიკას.

ეკონომიის მთელი მოგება კი მთლიანობის განცდაზე გადაიანალიზდება. ქაბრი ეკონომია ისევე საეკოლოგო, როგორც ეკონომიკური გადახარჯვა, რადგან იგი უმაღლესედა მთლიანობის ღირებულებითი კურსის დეფლაციადაა.

6 მაისი, 2009 წელი

არიან წიგნები, რომლებიც მაგიდასთან ინერებიან. არიან წიგნები, რომლებიც იქ ინერებიან, სადაც ადამიანები აცდუნათა ნაპრალები ერთმანეთს ან/და სულაც საკუთარ თავს გამოტოვებენ.

ამასთან ამ ადგილას ცნაურდება მოხელეობათა, დიალოგთა და გაგებათა მყისიერობა, რომელიც ბედნიერება-უბედურების ეპიპროულ ინვერსიებს ნიშნობრივად ანარმოებს.

ეს არის მარადიული აცდუნების ჯადოსნური ტოპოპი, რომელიც გვაიძულებს, არა უპრალოდ ემიოძრაოთ, არამედ ემიოძრაოთ და შევხედეთ საპირისპირო მიმართულებით.

16 მარტი, 2009 წელი

ნაოჭები ნიღბია.

ამის დამსახურება კოსმეტიკისგან გვათავისუფლებს. ნაოჭებში სახე ხდება ნიღბი და არა პირიქით. ჩვენი ვირრეფი სახეს: ნაოჭებს ან კოსმეტიკას.

13 მაისი, 2009 წელი

როცა არსებობთა ხარ სახეც, შუუმწმველი ხდები.  
29 ივნისი, 2009 წელი

ზეიმის ღმერთი აწყობს, სცენას ადამიანი.

30 ივნისი, 2009 წელი

საკუთარი თავის დაიწყებათა ქაბოში „გამოსავალია“ დაიწყო, რომ დაგავიწყდა.

გადარჩება, ვისაც მეხსიერება შეუძლია  
30 ივლისი, 2009 წელი



დიდი რომელი პოეტის — კატლუსის ლექსები „ჩვენი მწერლობის“ მკითხველთათვის უცხო არ არის, აქ იგი ორჯერ დაიბეჭდა, ლექსების უმეტესობა ლირიკული ხასიათისა იყო, თბილი იუმორით განმსჭვალული. ამჯერად ვაქვეყნებთ მის ე.წ. საღანძღავ-განმავიქმველ ტექსტებს, სადაც კატლუსი არც მთავრად მივხვდებით და არც მგზნებარე მტრფა, არამედ სარკასტული და შურისმაძიებელი მოქიშპე, დაუნდობელი და შეუვალი ოპონენტი, მკაცრად უსწრდება მტრებსა თუ მტერ-მოყვარებს, შეუფრთხავად გამოხატავს თავის პოლიტიკურ სიმპათია-ანტიპათიებს, არ ერიდება არც კვიზარსა და არც მის თანაზიარებს. ცნობილია ასეთი ფაქტი: როცა იტოლუს კვიზარს კატლუსის გესლანი ეპიგრამები წაუკითხავს, რომლებიც მისი მისამართით იყო დაწერილი, მეტად შეზუხებულია და უთქვამს, ამ პოეტმა ჩემი სახელი სამუდამოდ შეზღუდაო.

ეს ტექსტებიც, ლესხიას ციკლის სატრაგიკო ლექსების გვერდით, ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. ფეორობთ, არც ჩვენი მკითხველთათვის უნდა იყოს ინტერესს მოკლებული მათი გაცნობა, ისინი ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება. ასევე პირველად იბეჭდება კატლუსის ცნობილი ეპიტოლამა, რომელიც მან თავის მეგობარს — მანლიუს ტორკვატუსს უძღვნა.

**გაიუს ვალერიუს კატლუსი**

**ეპიტოლამა — საქორნილო სიმღერა**

წმინდა პელიკონის მაღალო მკვიდრო,  
წმინდა ურანიას ძეო და მოდგმავ,  
შემკრთალი ქალწულის მიმგვრელი ქმართან,  
იო! სიხარული, ჰიმენე, შენდა!  
ჰიმენე-ჰიმენეც!

ყვავილითა გვირგვინით შეიკე შუბლი,  
მაიორანების აკმევდე სურნელს,  
ტანზე ალისფერი აისხი რიდე,  
ოქროით ცურვილი ყვითელი ხამლით  
ფენი შეიმოსე თოვლივით თეთრი!

მოდი, სიხარულით სავსეა ეს დღე,  
გინძობს სასიმღეროდ, ცეკვისთვის გინჯევს,  
ხმამძლვარად დასტეჟე ქორნილის პანგი,  
ფეხები ღონივრად დაჰკარი მიწას,  
ხელით საქორნიო ჩირაღდანს დასწვდი!

მოვედ, მანლიუსი ვინიას ირთავს.  
ასულს სათნოსა და თვალადაც ისეთს,  
როგორიც ვენუსი ფრიგიელ ქაბუკს  
იდაზე წარუდგა, მიეღო მსჯავრი.  
მოვედ, სეგებენიერ ვარსკვლავზე შერთე —

ელვარე, ვითარცა აზიის მირტი,  
კვავილებდახსმული, ღამაში რტოით,  
ცვარნამს რომ ამკურებს ალერსით ნაზით  
ჰამადრიადების მსუბუქი ხელი.  
ელვარე, ვითარცა აზიის მირტი!

იჩქარე, ნამოდი, დააგდე კლდენი,  
თესპიის ტინები ცოტა ხნით დათმე,  
სად აონიური შეჭრილა მამიშე  
და სადაც ლიკიკით გადმობრბის ქებზე  
ნიმფა აგანიშე, ყინულის დარი,

და შემოუძეხი პატარძალს სახლში,  
ტრაფობით ანთებული მოპგვარე საქმროს,  
გულზე შემოაგზნე სახმილი მწველი,  
ხეს როგორც ეხვევა თმამხრი სურო,  
ისე შემოეძედე სურვილით სავსე!

უმანკო ქალწულრო, ძალიან მალე  
თქვენთვისაც დადგება ნანატრი ფაში,  
მომართეთ საკრავი, უმღერეთ ერთმანად:  
იო! სიხარული, ჰიმენე, შენდა!  
ჰიმენე-ჰიმენეც!

რომელ ღმერთს ნატრობენ მოყვადენი ასე,  
ყვალაზე უმეტეს ვის სცემენ თავიცა?  
ვისკენ ისწარფიან, იწმევენ რომელს?  
იო! სიხარული, ჰიმენე, შენდა!  
ჰიმენე-ჰიმენეც!

ახლად შედერილი ასული ნორჩი,  
გუშინ რომ კაბაზე ეკვროდა დედას,  
ენებსგან აღესილ ქაბუკთან მიგყავს!  
იო! სიხარული, ჰიმენე, შენდა!  
ჰიმენე-ჰიმენეც!

თუ შენი თანხმობა არ ექნა ვენუსს,  
უძრავს და ბედნიერს ვერ გახდის ტრფობას,  
უშნოდ სიყვარულს არა აქვს მაღლი.  
ისურვებ — კეთილად აგვიხდენ ყოველს,  
ვინ გაგიტოლდება, რომელი ღმერთი?!

უშნოდ ბავშვებით ვერ ხარობს სახლი,  
უშნოდ მემკვიდრეს ვერ გაზრდის მამა,  
უკვალოდ გაქრება გვარი და მოდგმა.  
ისურვებ — კეთილად აგვიხდენ ყოველს,  
ვინ გაგიტოლდება, რომელი ღმერთი?!

გახსენით ურდული, განახსენით კარნი!  
ქალწული, გამოდი, გამოიხდი, სძალო!  
შეხედე, ჩირაღდნის ბრჭყვიალი თიშები  
როგორ აელვარდნენ, გაბრწყინდნენ როგორ!  
.....

შენყვიტე ტირილი, ნუ ტირი მეტად,  
მერწმუნე, ბრწყინვალე ნათობას დღისას,  
ხვალ ოკენიდან ამოსულს დილით,  
აერუნკულვია, ღამაში შენზე  
ვერავინ შეხედავს, ვერც ერთი ქალი.

ასეთი ყვავილი თუ ხარობს სადმე,  
ვინმე დიდებულის უცხო რამ ბაღში

და პიაციენტუსი — სუმბული — შქეია.  
მაგრამ დღე იღვება, ხანია მოსვლის,  
გამოდი, გამოიწიდი, ახალ სძალო!

გამოდი, გამოიწიდი, გვაკმარე ხვეწნა,  
რამეთუ დასტური თქმულია უკვე  
იქნისფრად გაშლიათ ჩირაღდნებს თმები,  
ზრიალებს დარბაზი, სიმღერით გიხმობს.  
გამოდი, გამოიწიდი, ახალ სძალო!

ხის ტანს რომ ეწვება მოქნილი ვაზი,  
ისე შემოენან, მიეჭდე ისე,  
სული შეუგუბე მხურვალე ხვეწნით...  
მაგრამ დღე იღვება, დღე თითქმის გადის,  
გამოდი, გამოიწიდი, ახალ სძალო!

ვაკებო, ლამპრები ასწიეთ მალა,  
ქორნილის ალისფერ ბაირაღს ვებედავ.  
ფერხული გავაბათ, გიმღეროთ ერთხმად:  
იო! სიხარული, ჰიმენე, შენდა!  
ჰიმენე-ჰიმენეცს!

გამოიწიდი, ქალწულო, შემოდექ ზღურბლზე,  
თავიდან გავრანდეო, გაუდის ბრწყინვა.  
შემოდექ, შემოდი კეთილი ფეხით!  
იო! სიხარული, ჰიმენე, შენდა!  
ჰიმენე-ჰიმენეცს!

შეხედე, მოგელის, შინ არის ქმარი,  
თირსულ სარეცელზე ნებივრად მწოლი,  
რა მოუთმენლობით მოგელის, ნახე!  
იო! სიხარული, ჰიმენე, შენდა!  
ჰიმენე-ჰიმენეცს!

შენც, ხელისმომკიდევ, დრო არის, გადექ,  
პატარაობის ნატიფ ხელს შეუშვი ხელი,  
ქმრის ხანოლისაკენ ისწრაფის ახლა.  
იო! სიხარული, ჰიმენე შენდა!  
ჰიმენე-ჰიმენეცს!

დედოფლის დობილნი, მიხურეთ კარი,  
სიმღერა დასრულდა, თამაში მორჩა!  
ცოლ-ქმარს კი ვუსურვებ ბედნიერ დღეებს.  
მაგ ახალგაზრდული ძალით და გზნებით  
ბარბად დაენაფეთ ვენუსის საქმეს!

\*\*\*  
არა, გულმშვიდად ვინ შეიძლება ამის ატანას  
თუ არ ურცხები და უნაშუსო, ან ყომაზბაზი!  
ხელში ჩაგდო დღეს მამურამ მთელი სიმედრე,  
რაც შორ ბრიტანეთს ეკუთვნინდა, თმახშირ ჯალია.  
შენ კი, შე ბილწო რომაელო, ამას ვით ითმენ?  
გინდა ეს ბღენძი და ყვეყნი თავზე დაგვაყავ?  
ყველა ლოგანი შოიარა და გადათქვრა,  
დაფერეს უმანკო თეთრი მტრედო! ყრმა ადონისი!  
და შენ, შე ბილწო რომაელო, ამას ვით ითმენ?  
შე ყომაზბაზო და ავხორცო, გაუმძღარო,

ო, ერთადერთო და უბადლო იმპერატორო!  
შორი კუნძული დასავლეთის იმად დალაშქრე,  
რომ ამ ვაებად — ამ ფალოსმა უწებამოლიცმა  
როგორც ენებოს, ისე ფლანგოს ნაყაზღარი?!  
შენ კი რატომღაც ხელს აფარებ და უყურადები,  
ცოტა შეტამ? ცოტა რამე დაინავა?  
ჯერ მაშისეულ ქონებაზე გაიჯვეჯილა,  
მერე მეორედ პონტო იყო მისი საკბილო,  
მესამედ მოსდგა იბერიას, მერე ტავუსის  
ოქროცურვილი ნაპირებაც გაიანპირა.  
ძრწის ბრიტანია და გალია შეინებულა,  
თქვენ კი მიითბეთ გულზე მაგრად და ეფერებით,  
რის მატნისა? მხოლოდ ფლანგოს, ნენოს ქონება!  
და ამისათვის ო, ქალაქის საცეთმეპყროღენო,  
სიძე-სიმამრო, დააქციეთ ესე ყოველი?!

\*\*\*  
ეს ორი გვერიტი ერთნაირად ხმაშენყობილი,  
ორი თახსირი — კეისარი, მასთან მამურა!  
ან კი ვის უკერს? ყველამ იცის, რა დამლაც აკრავთ,  
ერთს რომაულად და მეორეს — ფორმიანული.  
შუბლზე სირცხვილის ლეკა აზიო, რა გადარცხავს!  
წყველნი არიან, ერთი მაქნის ტყუპისცალენი,  
ბილწ სარეცელზე რიგრიგობით წერთიან ერთმანეთს,  
თუ ქალს ჩინჩავენ, იქაც მუდამ ერთად არიან  
ერთიმეორის რაყენი და თანაზიანი —  
ეს ორი გვერიტი ერთნაირად ხმაშენყობილი!

\*\*\*  
შენ, სოკრატეონ, და შენც, პორკუს, ქვეყნის ვაებაც!  
ხელქვეითობო პიზონისა, იმის დამქანში!  
ჩემს ფაბულუსს და ევრანუსს თქვენ გამჯობინათ  
მაგ პრიაპუსმა, მაგ ზურუმა ბებრემა ვაცმა?!  
და ამიტომაც დილიდანვე სუფრას უსხებდართ,  
ნუგბარ-ნუგბარს ქაში, ჩემები კი ქუჩის კუთხეში  
ატუზულან და ვახშმად წვევას ფუჭად ელთან.

\*\*\*  
ჩემო მამულო, საბინურო თუ ტიბურული  
როცა კაცს უნდა, გაუხაროს გული კატულუსს,  
ტიბურულს იტყვის, და საბინურს ვინც კი ვაწოდებს,  
ვინც დაფინებით ასე გიხმობს, სურს, გულში დამჭრას.  
თუმც სულერთია, ტიბურული ვინც საბინური,  
რა საამაო შენს ნიაღში მშვიდად ცხოვრება!  
მე მადმე მოგვეთი, ხველვისსგან სული მოვითქვი.  
თუმც დავაბავე — ჩემს მუცელთან ერთად შევეცოდე,  
რამდენ დავაცხრით მაღიანად ნუგბარ-ნუგბარებს,  
მე იმ სადღეზე სესტუსის გვერდით აღმოჩნდი,  
მან კი სასწრაფოდ მომაჩეხა თავის ნანერი,  
სადაც ანტონის ძირს უოხრდა — შამან-გელს ანთხედა,  
ტანხის სიცივემ დამიარა და შემამცვივინა,  
ავი ხველვამაც დამეტაკა და შენ რომ არა,  
შენმა სიმშვიდემ და ჭინჭარმა გამოიკეთა.  
მადლობას გიძღვნი: ცუდად მყოფმა სული მოვითქვი,



და არ დამსაჯე მე ასეთი შეცოდებისთვის, გემუდარები, სესტიუსი თუ არ დაცხრება და ასეთივე სიბინძურს კვლავ ნამაკითხებს, ავიად გახადე, მე კი არა, მას შეამცივნოს! ის ვულუხვია და სავილიდ მამინ მძაძის, თუ რამ ჩაბი აქეს სამასპინძლოდ ნასაკითხავი.

\*\*\*

მე თქვენ გირჩევთ! ამოგიცხებთ პირს და უკანალს, შენც, ავრეილუს, შენც, ფურეუს, ძმთა უტკებნოს! სიტყვაზე დამდევთ? ზნედაცემულ კაცად მაცხადებთ, რაკი სტრიქონში იმნარიოც გამოშვრია? უნდა პოეტი თავად იყოს შეუბადლაგი, თორემ სტრიქონი შეიძლება ზღვანაც გადასცდეს. ლექსი ბენი უფიარს, სიტყვა უფიარს მოულოდნელი, მოუკრფავამიც ფიმიფამად შეგნის ვადასკლა. კუნთმაგარ ყმანვილს ახოურება არ ეჭირვება, საქმე ის არის, ვინც დამძიმდა, ფსა მოურულუნგდა და ბარძაყებსაც ძნელად იქნეს, ბრძოლად შემართო. უანგარიშო იმ ათასი კოცნის მიზეზითი, თორემ ნუ იტყვი, ეჭვეშე მდგარი ჩემი კაცობა! პირს და უკანალს ამოგიცხებთ, სალახანებო!

\*\*\*

ხურუმ-დუქანო! თქვენც ლოთებო-მეინახნო, ქუდიან ტყუაშებს რომ გამოჩნებთ ცხრა ნიშანსეტი! რატომ გგონიათ მხოლოდ თქვენ ხართ მამაკაცები, და ვაქეთ უფლება ლამაზებთან ლოგინის ჩანვით, ჩვენ რა, თხები ვართ? დანარჩენებს არ გვთვლით კაცებად? ჩარიგებულხართ ერთად ასნი ანდა ორასნი,

მე თქვენ გირჩევნებთ სათითაოდ ასსაც, ორასსაც, რატომ გგონიათ ვერ შევიძლებ ყველა გაგსხიპოთ, იქნება მტერი: მივაღებთ მაგ თქვენს დუქანს და მე ვიცი, რითიც ავიტრულეთ მის ყველა კედელს, რადგანაც გოგო, მკლავებიდან ვინც გამოშვება, (ის ჩემზე მეტად შევარბია ალბათ არაივის) ახლა მანდ გიზით, სათითაოდ გერგოთ სუვევლას, ეპ, მაგ გოგოსთვის რა ომები გადამინდია! ყველა თქვენგანი ასიაში, თქმაც შერცხვინება, ყველა ბიჭბუჭი, ქუჩის მრუში, ყველა უღირსი. გამორჩეულად უზადრუო მაგ მრუშებს შორის. თმაგაბურმანილო კელტიბერო კურდღელთა ქვეყნის, შენ, ეგნაციუს, ვისაც ხშირი ნეერი გამბეუნებს და რა ტუპ-კბილი! იბერიულ მარდით ნაბოხი!

\*\*\*

მემრუშე ტალუს! ბატის ტინიზე უფრო მსუბუქო, უფრო აზიზო, ვიდრე კაცის ყურის ბიბილო, ან კურდღლის ბენეი, ბებრის დამჭქანარ ასოზე მჭქნარო, და მაინც ყველა ქარიშხალზე უფრო მძინვარე! მძინვარე ქურდო, მთვარე როცა ძილში გაგვახეხეს... ჩემი ლაბადა დამიბრუნე, როგორც აშნანსე ფერად-ფერად ბიოინური ტილოს სუფრები, ხელსახოცები სეტაბური გამოჩინვითი, ვით საკუთრება, მამა-პაპის დანატოვარი. ბრჭყალი მუშუკი მომიბრუნე! თუ არ მომიტან, ჩემი მათხარით ავიტრულებ ფაფაკ თათუნებს და რბილ-რბილ ფერდებს, ავაცეკვებ, ავავტუნავებ, როგორც ტალღებზე ააცეკვებს გრიგალი ხომალდს.

ლათინურიდან თარგმანა  
შანანა ლარიაშვილი

უსცოური ნოველა

ფრანსუზა საგანი

ბანსეთილივა  
როგაულად

ლუიჯიმი ქალი კოქტილიზე დაბატრია — უკანასკნელად ეპატორებოდა. ქალი კი ეჭვადაც ვერაფერს ხედებოდა. და აი, ახლა, ამ ქვრა ქალბატონს პრინციპირ ლომის ხახას — თავის მეგობრებს მიუგდებდა.

დღეს, როგორც იქნა, თავიდან მოიშორებდა ამ მოსანყენ, მომთხოვნ და პრეტენზიულ ქალს, რომელიც დიდად არაფერს წარმოადგენდა და არც მაინცდამაინც გენეზიანი იყო. ამ გადანყვიტოლებას (თავდაც არ ახსოვდა როდის ჩაისახა, მაგრამ იქ, რომის პლატეზე, გაბრახებულმა ისე ხელაღებით მიიღო, არც კი შეყოყმანებულა) სწორედ დღეს, ორი წლის შემდეგ შეასრულებდა. ეს ქეთების, დღე-ასანაულებისა და საავტომობილო რბოლების გმირი, პატა-

რა სიამოვნებისთვის სულ სხვადასხვაგვარ ქალებს არანაკლები აზარტით რომ დასდევდა, გარკვეულ გარემოებაში კი იშვიათ სიზხდალს იჩენდა, სწორედ დღეს აპირებდა მეგობარი ქალისთვის, ყველაფერი დამთავრდაო, გამოცხადებინა. რა სასაცილოდაც არ უნდა ფლურდეს, ამისთვის მთელი შემადგენლობის ანუ, იმ გულდრლი და არა-გულწრფელი ადამიანების შეკრება დაჭირდა, დროდადრო კარგებოდა რომ იყენებ და კეთილმოსურნეებიც. მოკლედ, სწორედ იმათი, ვისაც "ჩემს მეგობრებს" ეძახდა.

ბოლო სამი თვის მანძილზე წერვები დაიწყო. ყველა პატარა მიზეზის გამო ბრაზობდა და ნერვიულობდა. მეგობარ ქალს ამკარად თავს არიდებდა. მოკლედ, შინაგანად მზად იყო ამ მოსანყენ ინგას დამორბეობა.

ეს მოსანყენი ინგა კი, უკვე რამდენიმე წელია "რომის სტუდენტს" შორის ყველაზე ლამაზ ქალად ითვლებოდა. ლუიჯის მეგობრები ამჟამად აცხადებდნენ მის საყვარელს შორის ნამდვილად ყველაზე ლამაზიაო.

მაგრამ აი, ორი წელი ვაივად, თანაც ისე, როგორც, კაცმა არ იცის რატომ, ტანსაცმლის მოდა გადის ხოლმე და აი, უკიდურესად გალიზიანებული ლუიჯი, ამ ძველებურად მომიზიდველ, მაგრამ უკვე ყელში ამოსულ ქერთიან ინ-



გას, თავისი მანქანით უკანასკნელ კოქტეილზე მიაქრო-  
 ლებდა. თვავდაც ართობდა ის აზრი, რომ არსებითად ქალს  
 კი არა, სხვების მიერ შექმნილი მის ხატებას გაუბრუნდა. ამ  
 პროვოკაციას, ამ ტურნებს, ამ მხრებსა და თქვივებს კი არ ტო-  
 ლებდა, თავის დროზე ისე რომ ხიბლავდა, თითქმის გააღ-  
 მურთა (წინეზიანი კაცი იყო), არამედ ერთგვარ სიქებას, იმ ბა-  
 ტება-სიმბოლოს, რადაც ინგა ველოსაბაივის გადაიქცა:  
 "იციანობთ ინგას?" აო, იმას, ლუციუსთან რომ დაიღის?" რო-  
 მის ქუჩებში მანქანას მიაქროლებდა და ამაოდ ცდილობდა  
 თავი დაერწმუნებინა ინგა ისეთივე ხორცისგან არის შექმ-  
 ნილი, როგორც შე შექვე და ძარღვებშიც ისეთივე სისხლი  
 უღუღისო. მაინც ეჩვე-  
 ნებოდა, რომ სახეიმი-  
 დ მორთული ქალის  
 ფოტოსურათს მიაქრო-  
 ლებდა. ფოტოსურათს,  
 რომელიც კაცმა არ იც-  
 მის მის მანქანაში რო-  
 გორ აღმოჩნდა. მიუხე-  
 დავად ამისა, ის ორი წე-  
 ლი, ამ საღამოს რომ უწ-  
 და დამთავრებულიყო,  
 ისეც ცოცხლობდა.

რაც უფრო დამოწ-  
 და ამ შევე ქალბა-  
 ტონს, მით უფრო გა-  
 უტკება თავისი იტალიე-  
 ლი მეგობრები - ეს ბა-  
 ტარა სამყარო, სადაც  
 რა ჯურის ხალხს არ  
 შეხვდებოდი: თანამო-  
 აზრეებს, უსაქმურებს,  
 თავგადაკლულ მეგობ-  
 რებს ან მეტ-ნაკლებად  
 შეწყობილ წყვილებს.

მოკლედ, დღეს თავის საყვარელს ტოვებდა და თანაც ისე  
 ხმაურიანად, რომ უკან დასახევი გზა აღარ დარჩენილია. არც  
 მთლად მარტოე კაცი იყო, მაგრამ სამეგობრომ მარტოობის  
 შიში ჩაუნერგა. მიჩვეული იყო გვერდით ყოველთვის ვიღაც  
 ყოლდა და მათი მხარდაჭერა ძალიან ჭირდებოდა.

ინგა ისე მიიღეს, თითქოს ნივთი იყო, მშვენიერი ნივთი.  
 ამ ქტრა, ცისფრეთალებმა, მაღალ ფეხებიანი, მუდამ ელენ-  
 განტურტი ქალის ბელში ჩაგდება მამონე ბევრს სცადა, თა-  
 ნაც ისე, თითქმის სპორტულ შეფიზებში პრიზის მოპოვე-  
 ბას ცდლობდნენ. ამ პრიზის მფლობელი კი, ლუციუს დე  
 სანტო გახდა, რომის მკვიდრი, ოცდაათი წლის არქიტექ-  
 ტორი (მშვენიერი წარსულითა და მომავლით), რომელმაც  
 ქალი შინ წაიყვანა, მისი სიყვარული მოიპოვა (დროულადრო  
 სიტყვითაც რომ უმტკიცებდნენ) და იმასაც მიაღწია, რომ  
 მის ჩრდილოეთელი ქალბატონი სამხრეთელების ცხოვრე-  
 ბაში მთლიანად გაითქვიფა. თუმცა ასე ბოროტი განზრახ-  
 ვით რომდ მოიქცა, არც ძალადობა უფრო არა. ლუციუს სე-  
 ცოცხლად ძალიან უყვარდა და საკუთარ მამაკაცობასაც შე-  
 ტისმეტ პატივს სცემდა, რათა ვინმეს ნება ძალადობით და-  
 ეთოქრუნა. მაგრამ ის განსაკვივრებელი, მბოროტი დღეე-  
 ლი კარგა ხანის წარსულს მხარბდა და ახლა ინგა ხშირად  
 ბრახობდა. სულ უფრო და უფრო ხშირად ახსენებდა

"სტოქჰოლმს", "გეტენბერგს", თუმცა უკიდურესად გა-  
 დატივრთული კაცი მის სიტყვებს ყურსაც არ უდებდა. ა-  
 დღეს საღამოს კი ინგა მოლაღატის მზერით, იატოს მზე-  
 რით შეათვალიერა და უცებ ისეთი მოულოდნელი ინტერე-  
 სი აღტკრა, თითქოს ცნობისმოყვარეობა რაღაცამ გაუღო-  
 ხიანა. ამაჲ კიდევ გაოცდა და ცოტა კიდევ ააღლევა. ორი-  
 თვე საათის შემდეგ ხომ სამუდამოდ დამორღებოდა ამ  
 ქალს, ამ მშვენიერ სახეს და სხულებს და კიდევ ბევრს,  
 რომლის შესახებაც არსებითად არაფერი იცოდა. სულაც  
 არ აღეღებოდა განხეთქილებას როგორ აიტანსო. ხალისი-  
 ან, სულგრძელ, მაგრამ არც ისე გონიერ კაცთან ორი წლის  
 ცხოვრებას, სავეჭო ქა-  
 ლისთვის თვითმკვლე-  
 ლობის სურვილი გა-  
 ეღეღებინა. ის ხომ თა-  
 ვადაც ზალისიანი და  
 სულგრძელი იყო და  
 ბოლოს და ბოლოს ნამ-  
 დეილად იტალიელებიც  
 არ გამზადარან. ალბათ  
 იტალიის სხვა რომე-  
 ლიმე ქალაქში გადა-  
 სახლდებოდა, შეიძლე-  
 ბა პარიზშიც გამზავ-  
 რებულყოფი და სავეჭო  
 კაცს მოესკალისებინა.  
 თუმცა, ალბათ არც თა-  
 ვად მოაკლდებოდა ვინ-  
 მის.

ინგამ მთქნარება ჩა-  
 ახმო, მისკენ შემობრ-  
 უნდა და მშველად შეე-  
 კითხა იმ მსუბუქე აქ-  
 ცენტის მეორე დღეა  
 კაცს ასე გულს რომ

მხატვარი თამარ მინაშვილი



ურივედა: "დღეს საღამოს ვინ შეიკრებოდა?" და როცა ღიმი-  
 ლით უსახეუს "ძველებურად", რატომღაც განაწყენდა. იქ-  
 ნებ ესმოდა, რომ მათი რომანი დასასრულს უახლოვდებოდა,  
 იქნებ თავადაც უკვე შორდებოდა... ამის გაფორებისთანავე  
 ლუციუს სულში მამრის უძველესმა ინსტიქტმა გაიღვიძა და  
 მამონე გაიფიქრა თუ მოვიწოდო რასაც მინდა იმას ეთან-  
 გვერდით დავიტოვებ, ათი შვილით დავასაჩუქრებ, ოთხ  
 ელემი გამოვამწყვდედე და — ბატონო არა — შევიკარებ კი-  
 დეცო. ამ აზრმა ღიმილი მოპყროდა, ქალმა კი ისეც შეხვდა და  
 მკითხა: "ასე რა გეხარია?" ამ შეკითხვაში მუხლებთან უფრო  
 იგრძნობოდა, ვიდრე მზიარებულება და კაცი გაიკცდა. როგორც  
 ჩანს რაღაც იეჭო, გუნებაში იბოროტება და ესანხეთის მოე-  
 დანზე მიქროდა. ნახევარი საათის წინ კარლამ, ჟინამ და უმ-  
 ბერტომ დაურეკეს და თუმცა ქალი მის სატელეფონო საუბ-  
 რებს არსოდეს უსმენდა — საცოდავმა, ალბათ ვერც გაიგო  
 რამე, თუმცა იტალიურად მშვენიერად ლაპარაკობდა — მა-  
 ნინც იგრძნობდა, რომ რაღაც მზადდებოდა. "ოჲ, ეს ყნადღე-  
 ბული ქალური ინტელიჯანს!" ყოველ შემთხვევაში, ტელეფონ-  
 ნი გამოკლდნენ ვიღაც და კარლა, სწორედ დროა მიატოვო,  
 უკვე ყელმად რჩავალი, ახა როგორ შეიძლება ასეთი მომზო-  
 ლველი, ბრწყინვალე მამაკაცი მესამე წელიწადის თვეში შევე-  
 ნიკენის კაბაზე იყოს გამოხმული, ჩვენ ხომ უკეთ გიცნობთ,



ვიდრე თავად იცნობს საკუთარ თავსო, უმერებდნენ და ბოლო თხოობიტი წელია მართლა ასე გვიჩნათ.

მიუხედავად ამისა, კიბეზე ინგას მკვლელობა რომ შეაგება, ისეთი უსიამოვნო განცედა დაიკვლია, თითქოს ცოცხლოდ ამაძინა კორიანაზე მიყავდა; უფრო სწორად იმ შემოლობილი, სადაც ხარებს კორიანის ნინ ამწყვედებდნენ და უცებ მოეწევა, მაღედუნების როლი ამგოვივიარ და ინგას რაღაც უღირს თამამში ვითრეო.

შვიდნენ თუ არა, კარლა დაეძგერათ. პო, სწორედ დაეძგერათ, უფრო მეტიც, თავს დაესხათ. ხმაშალა იცინოდა, ინგას შესცქეროდა და მოსალდენელი სიებით ნინასმარ ტკბებოდა.

— ჩემო ძვირფასებო, — იძვირებდა იგი, — ჩემო პატარებო, უკვე ველაღვი კიდევ.

რა თქმა უნდა, კაცმაც გადაკვიცა და ინგამაც, შემდეგ კი, ყველანი ერთად სასტუმრო ოთახში შევიდნენ. ლუიჯი მეტის-მეტად კარვად იცნობდა რომს და მის საღინებს და ახლა, ამ ფუნჯუხისა და შორეის წყალობითა მის ირგვლივ რომ ამომიწვევს, მანძევ მიბედა, ყველაფერი იციანო. მის გამოჩენის ელოდებოდნენ. პო, ელოდებოდნენ, რომ დღეს საღამოს იგი კავშირს განწყევდა (თანაც სახალხო გამოცხადებდა) იმ ქალთან, რომელიც, მართალია, ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ მის გვერდით მეტისმეტად დიდხანს შემორჩა — კავშირს განწყევტა ინგა ინგებორგთან, შეეფეთადნ რომ ჩამოსულიყო.

ქალი კი, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. მის მკვლავზე დაყრდნობით, ძველ მეგობრებს მიესალმა და როგორც ყოველთვის, მასთან ერთად ბუფეტისკენ გაემართა, რათა დაეჯლია, ეცეკვა, შემდეგ კი, შინ დაბრუნებულს, მისი მეტ-საკლებად მგზნებარ აღერსი გაეზიარებინა. და უცებ კაცს მოეწევა, ეს "ნაქლები" ჩვენს ურთიერთობაში ყოველთვის იყო, "მეტს" კი მხოლოდ ჩემი განწყება ქმნიდა.

შეუმჩნევდა — თითქოს რაღაც ფანტასტიკური, ცოცხალი უხამში და სასტიკი ბალეტი თამაშდებოდა — მეგობრები ირგვლივ შემოებვიდნენ. ამ კარვად რაღაცას ელოდებოდნენ... ნეტავ რას? იმას, რომ ქალს ეტყოდა თავი მოზაბელო? რომ სახეში სილას გაეხანდა და სახალხო ტანსაცმელს შემოახვედა? ახლა თავდაც ვერ აგინსინდათა შემოღამის ამ მძიმე, წვიმიან საღამოს რად უნდა აეხსნა ასე ნაცნობი და ამავე დროს გულგრილი ნიღბებისათვის ინგასთან დაბრუნება ჩემთვის აუცილებელიყო.

ისიც მოაჯონდა როგორ ისხენებდნენ: "ჩვენს წრეს არ ეკუთვნის". მაგრამ ახლა ამ "წრეს", ამ ტუტებისა და სხვაგვანის ზრბოს, ამ საცოდავ საქაობში შესცქეროდა და ფიქრობდა ჩემმა სიტყვამ ნეტავ არის ნინ ხომ არ გაუსწროო. და პირველად, მას შემდეგ, რას ამ ახალგაზრდა, ქერა, ჩრდილოეთელ ქალს დაუკავშირდა, ამ დამოუკიდებელ მზეთუნახავს, მის დამეებს რომ იზიარებდა, კაცმა გაოცებით გაიფიქრა ის ჩემთვის ამ ხალხზე უფრო ახლობელიყო.

ჯუზეპე მოუახლოვდა. როგორც ყოველთვის ლამაზიც იყო და მხიარულიც. ინგას ხელზე აკვიცა. თანაც ისეთი დრამატული გამოხატულებები თვლიდა, ლუიჯიმ თავიერთა ამკარად ზედმეტი მოსდისო. შემდეგ ისევ კლარა გამოჩნდა და ქალს შემოუბრუნით ჩაეკითხა ვისკონტოს უკანასკნელი ფილიმი თუ ნახეო. მეორე ზრბოს აღდგ გამოეყო და ინგას აცნობა აოსტაში, ჩემი აგარკისთვის ნამდვილი მშვენიერება იქნებო (აღიღის საერთოდ უყვარდა მოუღუნებისთვის ნინ გასწრება). ზოლოს კი, მარინა, აქაურობის აღიარებული დედაყოლი, სადაც მარჯვენა მხრიდან გამოქვრია და ერთი ხელი ლუიჯის, მეორე კი ინგას ჩაჯალი,

— დემეტრიო ჩემო, — ჩაილაპარაკა მან, — რა მშვენიერები ხართ ღმერთის სწორედ ერთმანეთისთვის გაუქმებინართ! ბროსო, როგორც ესმანდები ამბობენ, სუნთქვა შეუკერა, კორიდა დაიწყო. არადა ხარი ანუ ეს აუტანელი ინგა, უადრდელად ილიბიბოდა. ლუიჯისგან ყველა ამკარად რაღაცდა — აზრს, გადაკურლ სიტყვას — ელოდებოდა. მოკლედ, სიერს უციდნენ. მან კი ხელი ისრ აიჭინა, ვერკირი იტყოდა ეს წინადა იტალიური ფესტი უარს წინადავთა თუ მადლიერებას. განაწყენებული კარლა ისევ შეტევებზე გადავიდა. მას ხომ ლუიჯიმ ნამდვილად უთხრა დღეს საღამოს ყველაფერს დაეასრულებო, თუმცა ამოქმედების ადგილი არ დაუზუსტებია.

— რა ჩახუთული პაერთა, — ანუნუნდა იგი, — მე გავინი, ძვირფასო ინგა, თქვენთან ზაფხულობით ასე არ ცხელა, არა? თუ მეხსიერება არ მალადატობს, შეეფეთა უფრო ჩრდილოეთით უნდა იყოს, არა?

ჯუზეპე, მარინა და გვიდ პირდაპირ ჩაბვიდნენ. ლუიჯიმ კი გაიფიქრა, ნეტავ რას ხედავენ სასაცილოს ამ შეუკითხვამი შეფეთი უფრო ჩრდილოეთითა თუ იტალიაი და დაასკენა, კარლა არც ისეთი ჭკვიანი ყოფილა, როგორც ამას "ვიგა" ამტკიცებდა.

— მე მართლაც გავინა, რომ შეეფეთი უფრო ჩრდილოეთითა, ვიდრე იტალია, — მშვიდად, ყოველგვარი აქცენტის გარეშე უპასუხა ინგამ, რაც მის სიტყვებს ცივი გულგრილობით აესებდა. ან იქნებ, ეს ცივი გულგრილობა მთელ მის იერს დაკვირვდა და ამის წყალობით მისხრდა ვიქვინ აიგებდა. მიუხედავად ამისა, ყველამ გადაიხარხარა.

"როგორც" ჩაბლა, ნერვივად აქვთ დამაბული, — გაიფიქრა ლუიჯიმ, — ყველა ელოდებო, რომ უხეზად მოვიმორბო. ესე იგი, ასეც უნდა მოვიქცე." ინგამ ამ დროს, თავისი იოსყური თვალები შეანათა — თვალებს კი, მართლაც უჩვეულო იოსყური დაკრავდა და რომში ჩამოსვლისთანავე მისი დიდი წარმატების მიზეზიც სწორედ ეს გახდა — და გამოჩნვევდა ამ სტუკითხა, ირგვლივმყოფებისთვის ყურადღებაც არ მოუქცევა:

— ლუიჯე, ეს რა მოსაწყენი საღამოსა. სხვაგან ხომ ვერ ნამიყვანდ?

მისი სიტყვები მზეთი გავარდა და ბროსოს ჭქვიმი ისე ანკრავდა, თითქოს მოახლესაც გული მოსდებოდა და ნონას-ნონობას კარგავდა. სამარისებური სიწუმე ჩამოხდა და ლუიჯე უცებ ყველაფერს მიხედა. წველის შორის რაღაც ისეთი ჩაისხა, ურთიერთგაგებას რომ ეძიებო. ერთმანეთს შეხედეს და ქალის იოსყურ, მართალ თვალეში გამოჩნდა შეუკითხვამ ადგილი უფრო მტკიცებულებას დაუთმო: "სულელი, მე ხომ მიყვარხარ". ამის პასუხად კი, გაზულუტებული რომაელის მავ თვალეში გულუბრყვილო, წინადა მამაკაცური და ამასთანავე ბავშვური შეუკითხვა აინთო: "მართალა?" ყველაფერი არიდაიოია. ადამიანია, იდეები, ჩანაფიქრები, საღამოს დასასრულიც კი სადაც დაკვიცა. "მეგობრები" უცებ მჭერე თავდაყირა დაეკვიცა და ზამთრის სიცივით მუნუხებულ ლამურებს დაემსგავსენ. ბობო შუამი გაიყო და გზა დაუთმო ტრემოვით მიმავალ წველის თავისი მანქანისკენ რომ მიემართებოდა. რომი კვლავ მშვენიერი იყო. იგი აქვე გახლდათ, გვერდით და მასში სიყვარული ცოცხლობდა.

ფრანკულიდან თარგმანა  
მანანა მიქელაძემ



### წითელი ღა თათრი

ივდა ბოსფორის პირას, ვითარცა მდინარეთა ზედა ბაზილინისთა, სამშობლოდამ-

ლტოვილი და კონსტანტინოპოლს შეხიზნული შუბლმაგარი რუსი მონარქისტი ვასილი შულგინი, ცხარე ცრემლით მისტრობდა სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეული უზარმაზარი ინგერის ნარსულ დიდებს და კარზე მომგვარ 1921 წელს ეკებებდა ფრიად ორიგინალური წინასწარმეტყველებით, თავისი დღეორის ფურცლებზე რომ აღუბეჭდავს:

„რუსულ სინამდვილეში გმირულ გადამწყვეტილებათა მიღება შეუძლია მხოლოდ ერთ კაცს. ვინ იქნება ის – ლენინი? ტროცკი? არც ერთი და არც მეორე, რამეთუ ის არ უნდა იყოს არც ფსიქოპათი, არც თალღითი, არც სოციალისტი. ამ ვაგებტონებს კი არ ძალუთ განდგომა სოციალიზმისგან, ძალაუფლება ზომ სწორედ სოციალიზმის შემწეობით ივდეს ხელთ. სოციალიზმი მათი ზარცად და ხუნდებია. ეს ტომარა ბოლომდე უნდა ათირინოს და იგი გაჭყელებს მათ. მაშინ მოვა ერთი ვინმე, რომელიც ამ ტომარას არ აიღებს. ის თავისი ნებისყოფით შეშმარჩბად წითელი იქნება და ამოცანების მიხედვით – ქვეშარჩბად თეთრი. ის თავისი ენერგიით ბოლშევიკი იქნება და მინამსით – ნაციონალისტი“.

შულგინის აზრით, სამოქალაქო ომის არანაბელი და გაუგონარი საბინელებანი შეავდა მშობიარობას, რომელსაც უნდა გაეჩინა რუსეთის თვითმყრობელი!

გამობდა ხანი.

1937 წელს პოლონელმა პოეტმა ანტონი სლონიმკიმ, ვისაც გამოუსწორებელი ოხუნჯად და მისტიფიკატორად იცნობდნენ ლიტერატურულ წრეებში, ვარშის პოპულარულ გაზეთში გამოაქვეყნა „კორესპონდენცია მოსკოვიდან“, სადაც აღწერილი იყო სტალინის კურთხევა სრულიად რუსეთის მეფედ და მისი შემკობა რომანოვთა კუთვნილ გვირგვინით. მაგრამ ყველაზე გასაკვიარი ის ვახლავთ, რომ პოპულარულ გაზეთის მკითხველთა უმრავლესობამ (ე.ი. ნახევარმა პოლონეთმა) ხანძცი ეგვიპტულანად ირწმუნა ეს სენსაციური ინფორმაცია.

გასულს საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა კავშირიდან ემიგრაციაში წარმანებელი ისტორიკოსი მიხეილ პეღერი, რომელიც არც ოხუნჯობით გამოირჩეოდა და არც მისტიფიკაციით ეჭმანებებოდა, პოლონელი პოეტის საპირველპირიო გამოხელობასთან დაკავშირებით ნაცხებით სერიოზულად შენიშნავდა: „არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ თუკი სტალინი მეფედ კურთხევისა იწებებდა, ამის გაკეთება სანამოდ ოლად შეეძლო და პირველი სოციალისტური მონარქი გახდებოდა, ვინაიდან პარტია ზზად იყო – მისი ყოველი გულისხანდილი უყურმანოდ შეესრულებინა“.

მწილი სათქმელია, პოლონელი პოეტის პოლიტიკური ოხუნჯობა კომუნისტური ჰქონდა თუ არა სტალინის დავიანებულ მტერს – ლევ ტროცკის, მაგრამ ორიოდ წლის შემდეგ თავის დაუბნარებელ წინმის, რომელსაც ლაკონიურად დაარქვა „სტალინი“, თავისებურად ბანს აძლევს ზემოსხენებულ ანტონი სლონიმსკის: „სტალინის ძალაუფლება წარმო-



ვასილი შულგინი

ადგენს ცეზაროზმის თანამედროვე ფორმას. ეს არის თითქმის შეუნიღბავი მონარ-

ქია, ოღონდ უგვირგვინი და ვერჯერობით უშემკვიდარი. XIX საუკუნის დამდგეს ქართველი მეფე იძულებული შექმნა, რომ მოსკოვის ხელისუფლების დაქვემდებარებოდა, ხოლო XX საუკუნის დამდგეს სტალინსა საქართველომ მოსკოვის ქართველი მეფე მოახვია თავს“.

აღნიშნულ საკითხს ასევე სერიოზულად ეკუთება რუსი ფილოსოფისი გიორგი ფედოტოვი, რომელიც 1925 წლიდან ემიგრაციაში იმყოფებოდა და პროფესორის თანამდებობა ეჭირა ვერ პარიზის ლევისმეტყველების ინსტიტუტში და შემდგომ – ნიუ-იორკის მართლმადიდებლურ აკადემიაში.

ფედოტოვის სიტყვით, ის, რაც საბჭოეთში ხდებოდა, ზემოდან გატარებულ ნამდვილი კონტრეველუცია იყო. მარქსისტული სიმბოლიკა ვერჯერობით არ გაუქმებულა და ხელს გვიშლის, სინამდვილეს თვლი გაუქნსროთ და დაეცნაობთ, რომ სტალინი „წითელი მეფე“ ვახდაო, – ასეკნდა ფილოსოფოსი.

1940 წელს ნიუ-იორკში გამოქვეყნდა მისკოვლის კორესპონდენტად ნამყოფი ამერიკელი ჟურნალისტის იუჯინ ლაიონის ნიგნი „სტალინი – მეფე სრულიად რუსეთისა“.

ძველი ბოლშევიკი პეტრე ჩაგინი იხსენებს, რომ სტალინიმა 1926 წელს ასე განუცხადა თავის უახლოეს თანამშრომლებს: „წუ გაეცნებნათ, რომ ჩვენ რუსეთში, მეფეთა ძვეყანაში, ცეცხორობთ. რუს ხაბლს უყვარს, როცა სახელმწიფოს სათავეში ერთი კაცი ვდას“.

მარია სეანიძე, მეუღლე სტალინის ცოლისძმისა, თავის დღეორში აღნიშნავდა: „სტალინიმა ერთხელ ასე შეაფასა ოვაციები, მას რომ მოუწვევს: ხაბლს სწორდება მეფე, ვისაც თაყვანი უნდა ცეცხ, ვისთვისაც უნდა იცხოვრობს და იმრობოს“.

პროფესორი ნიკოლოზ ყიფშიძე, რომელიც მკურნალბოდა სტალინის დედას – უკვე ხანდაზმულ კეკეს, გვაუწყებს, რომ მის შაცვიენტს შილისთვის ერთხელაც უთხოვდა: სოსო, ახლა შენ ვინა ხარო? და ასეთი პასუხი მიოლა: ხელმწიფე ვახსოვ? პოდა, მეც ხელმწიფე ვახოვარო.

1947 წელს საქართველოში სტუმრად მყოფი გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ჯეკ სტაინბეკი წერდა: „კაცობრიობის მთელ ისტორიაში ვერ მოიძებნება კაცი, ვისაც სიცოცხლეშივე ესოდად თაყვანს სცემდნენ“.

რაც შეეება ბოსფორის პირას წარმოქმნილი წინასწარმეტყველებლის ავტორს, მონაცხე ბედას სიბერეში გაუღონა და სამშობლოში დაბრუნება არგუნა ნილადა. ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. საბჭოთა კავშირის გამარჯვება ლიტერულ გერმანიაზე შესაღებოდა შულგინის ვილიტადრევაულ სულისკვეთებას.

ალბათ ისიც ვამებოდა, რომ გამართლდა მისი წინასწარმეტყველება. დარწმუნებით ამბობდა: კომუნინში შექცეუიტი გატარება, მაგრამ იმპერია იარსებებს. და სიცოცხლის ბოლომდე გერმანიისა შესაღებოდა შულგინის ვილიტადრევაულ სულისკვეთებას.



### ხინჯი ერთი პროექტის

გამორჩენილმა იტალიელმა მოგზაურმა და სწავლულმა პიტრომ დელა ვალემ (1586-

1652) მთელი ზუთი ნელიანი გაატარა ირანში, სადაც გაიცინა ქართველები, ახლოს მიიტანა გულთან ჩვენი ქვეყნის ტორვარაში და სამშობლოში დაბრუნებისას (1626 წ.) რომის პაპს მიართვა თავისი ხელნაწერი ნაშრომი „ინფორმაცია საქართველოს შესახებ“.

დელა ვალე მოახსენებდა რომის პაპს: ქართველებთან სულიერი სიახლოვე მაკავშირებს, მრავალ მათგანს დავუმგებობრდ და ამიტომაც უკიდურესი დაჟინებით გვევადრებით, ყველა ღონეს მიმართოთ მათ შესვენებად, რამეთუ დღემდე რაც უფრო ნაკლები გულმოდგინება იყო გამყდებენბული, მით უფრო დიდი იქნება თქვენი უწინმდისობის დაიმსახურება ღვთის წინაშე და უტყობი სიხელის მოხვეჭა მთელ ქრისტიანულ სამყაროში – მამრიყით წაღრბიბამდე.

ირანში დელა ვალეს ვიზიტის მთავარი მიზანი იყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. დასავლეთ ევროპაში სწორედ „პრინციპალე პორტას“ მიიჩნევენდენ საქურისტანოს უპირველეს მტრად და თავიანი პოტენციურ მოკავშირედ ვეგულობდათ ოსმალთა მოსიხსნელ ტტერი – XVI საუკუნის დამდეგს ნარმოქმნილი სტეფანოსა სახელმწიფო, რომელმაც თავისი ძლიერების პიკს მიღწინა შაჰ-აბას I-ის ზეობისას (1587-1629).

სტეფანოს ირანის შეკავშირება დნქურს კახაკებთან და პოლუნეთის სამეფოსთან (საქართველოს შუამავლობით) – აი, ასე ესახებოდა იტალიელ მოგზაურს აღმოსავლეთის ფრონტი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ.

დელა ვალეს საგანგებოდ შეუსწავლია კახაკთა ნარმოვლობა, მათი ადიათ-ნესები და საბრძოლო საქმენი. ყოველივე ამას დანერვილებით მოგვითხრობს თავისი ვრცელი თხზულების („მოგზაურობა თურქეთში, სპარსეთსა და ინდოეთში“) ფურცლებზე.

ავტორი მკითხველს განუმარტავს, რომ „კახაკები“ ხალხის სახელწოდება როდია, არამედ – შეკრებილობა სხვადასხვა მომადის ადამიანთა, სხვადასხვა ქვეყნებიდან რომ გამოქცევიანს ბატონობის უფლად. იყენენ ეკლესიის კახაკები, იყენენ დონის კახაკები, იყენენ ყუბანისა და თურგის კახაკები.

იტალიელმა მოგზაურმა დნქურის კახაკებზე შეაჩერა არჩევანი.

როგორც ირკვევა, მდინარე დნქურის შესართავში მდებარე კუნძულებსა და ხმელეთზეც მუდმივად ბინადრობდა არი ათას-ზე მეტი გამორჩენილი და უშიშარი მონანი. მათ სარძოდოდ იცავდა ცხობიანი ნიადაგი. ზამთრობით ისინი დარბობდნენ თავიანი ხომალდებსა და იარაღს, ხოლო ზაფხულში, როგორც კი დადგებოდა დრო საზღვაო დამქრობისა, ახლომხალ ტერიტორიებიდან მოედინებოდა ომს მონყურებულ კახაკთა ბობოქარი ნაკადი. აღუფის მოსახვეჭად გადიოდნენ ზღვაში ერთბაძიანი გაღერებით, რომელთა ოდენობა ზუთისა აღწედა ბოლზე და რომელთაც მიჰყავდათ ხან ოთხი ათასი, ხანაც ექვსი თუ მეტი ათასი კახაკი. ისინი გამოცილილ ზღვიანბნებზე იყენენ და მეკობრე ხომალდები თამამად მიაპობდნენ შავი ზღვის ტალღებს.



პიტრო დელა ვალე

ოსმალთა სავაჭრო ხომალდები ევლარ მდებდნენ შვე ზღვაზე ნაოსნობას. კახაკები ხმელეთსაც მიადგებოდნენ ბოლზე და იქაურობას პირმინდედ აწანაგებდნენ. შავი ზღვის სანაპიროზე თითქმის აღარ მოიპოებოდა ოსმალთა თუ ყირიმელ თათართა სამშლბეულო, აობრებას რომ გადარჩენოდა.

კახაკები იმუქრებოდნენ: მალე კონსტანტინოპოლსაც ავიღებოთ.

მეკობრე კახაკები თურქული სცემდნენ ნახევარი ევრობის დამპყრობელ ოსმალთა იმპერიას.

პიტრო დელა ვალეს გგმით, კახაკებსა და სტეფანოს ირანს შორის დამაკავშირებელი რგოლის როლი უნდა შეესრულებინა საქართველოს. კახაკებს თავიანი ზღავდარმად უნდა ეცქიათ ოდმისა და გურრის ზღვისპირა ტერიტორია და ირანის მხარდაჭერით განხიზრცილებინათ შტეტევა ტრაპიზონის მიმართულბეით.

შაჰ-აბასის ტკუანი დაუფდა დელა ვალეს პროექტი და სანროდოდ შეუდგა საშხადისის სამხედრო კამპანიისთვის ფრთმშეპასახმელად.

მაგრამ არც იტალიელი მოგზაური და არც სტეფანოსა დიდი ხელმწიფე ანგარიმს არ უწევენდენ იმხანაში მომქმედებაზეც. საქმეს ის გახლდათ, რომ ქართლ-კახეთის სამეფო სწორედ სტეფანოს ირანს ებრძოდა და თეიმურაზ მეფე თავის მთავარ მოკავშირედ სწორედ ოსმალეთის გულახსნობდა.

### ძროხიკა

„სიყვარულისგან ფართოდება ქვეყანა“ („ინტელექტი“) ანა კალანდათის ჩანაწერებს, მოგორბებსა და ცნობილ პიროვნებათა პორტრეტებს მოიცავს. თუბანიშვილის თვალთს ფოთში გიბართა მძინ ბრუნჭტაცია.

შტებერა ვახნა „ინტელექტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სასახბრის უფროსად მარკო ბაქრაქემე და სცენა დათოში მახახობებს რსუფადნ მოქლქავდა და მარინა საღარაძეს, რომლებმაც ნაიკითხის პოეტისი დექსები.

ნაწევენენი იყო პოეტის საოჯახი ვიფო არქივებიდან შერჩეული კადრები. გამოიფინა მისი ფოტო პორტრეტებიც.

ანას შემოქმედებაზე ვრცელად ისაუბრა ნიწის შემდგენელმა გიორგი გოგოლაშვილმა და აღნიშნა, რომ ამ კრებულში მისი ბეერი ჩანაწერი ვერ მოხედა, მაგრამ იმეღია ფარქენილი ნანარმოებებზე იხლავდა დღის სინაილეს. იქვე ნაიკთხა ანას რამდენივე პუბლიცისტური წერილი. ანას ლექსი ნაიკთხა მახახობმა ზინა კვერენხილბეი და ისაუბრა პოეტის შემოქმედებაზეც.

სტეფანოს შორის იყენენ მწერლები: ვახტანგ ჯვავიამე, ზაირა არქენიშვილი, ვიფი მანახარი, ანას 100 ლექსის შემდგენელი იოსებ ტუმბურიძე, მეცნიერი შუქია აგრდომიძე რომელთაც ანას გამორჩეული ღვანლი მესაფერისად შეაფასეს.

# სადაც სულის საზრდოს აზიარებენ



თეატრალურ სტუდია „ბერიკების“ წარმოდგენა

ზამთრისპირს, ნოემბრის მიწურულს თეატრალურ სტუდია „ბერიკების“ გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო „ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი“ (წარმოდგენაზე გალაკტიონ ტაბიძისა და ოლია ოკუჯავას სიყვარულის ისტორიის გაცოცხლებას შეეცადნენ).

ტოტა რამ „ბერიკების“ შესახებ. სტუდია 15 წელი არსებობს. განვლილი დროის მიღმა მდელი ბავშვების განწყობა შეიძლება ასედაც დავინახოთ ომგადახდილ ქვეყანაში და, მითუმეტეს, მის დედაქალაქში: შუქს, სითბოსა და პურს ნატრულნი, ბევრისთვის ჩაშლილი გაცვეთილები სკოლაში... და ამ დროს თბილისის გულში, გიორგი ლეონიძის ქუჩაზე მათი ნაღველის გასაქარვებლად და წასაშლელად ისხნება სისარულის სახლი-სტუდია „ბერიკები“, სადაც სულის საზრდოს, ხელოვნების სიყვარულს აზიარებენ... მერე და მერე მსგავსი სკოლები და სახელოსნოები მომრავლდა, შესაბამისად – მსურველნიც, რაც ოდნავ გაუმჯობესებულ ყოფავს ხომ მიანიშნებს, როგორც არ უნდა ვიუაროთ. ამასობაში „ბერიკებმა“ საკუთარი სახელი არათუ შეინარჩუნეს, თვითმოყვადობაც გამოკვეთეს და რამდენჯერმე აღიარებაც მოიპოვეს სხვადასხვა კონკურსზე საზღვარგარეთაც.

სტუდიის მესვეურმა, თეატრალური უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა და აღიარებულმა რეჟისორმა გოგი თოდუაძემ გვამცნო: „სმექტაქლის ძირითადი მიზანია მაყურებელს გაუცოცხლოს გალაკტიონისა და მისი მეუღლის ტრაგიკული სიყვარულის ისტორია. მათი წერილებში, რომლებიც ბევრისთვის მაინც უცნობია, იკვეთება პირქუში, დაუნდობელი დრო – „ზანი უნდობარი“ – ტოტალიტარიზმის მანქანა როგორ ამსხვრევს სულიერებას. გესურდა აგრეთვე ახალგაზრდებს ამოეჩინათ ხიბლი მარადული ფსევდოლობისა. ვფიქრობ, ისინი სიმართლეს ხაზგადაყენ თვალში და შეიცნობენ ძალას შიშზე გამარჯვებისა“.

ლიტერატურული კომპოზიცია პოეტსა და მის რეჟოლუციონერ მეუღლეს (ვინც, მაუზერისადმი მცდარი სიყვარულის მიუხედავად, სულიერების მწვერვალზე და თვითონაც ვერშემდგარი პოეტია) შერა და დამამუშავა ფილოლოგმა, მეტყველების სტილის პედაგოგმა დარეჯან კიკნაძემ, რეჟისორია თამარ ხიზანიშვილი, მუსიკალური გაფორმება თამაზ ყორღანაშვილს ეკუთვნის.

წარმოდგენაზე „ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი“, 22 ნოემბრის საღამოს, ნორჩმა სკენის მოყვარულებმა საგანგებოდ დააპატივებინეს თავიანთ პედაგოგებს ცნობილი დამიანები, მწერლები, მათ შორის გალაკტიონის ძმისწული, პროფესორი ნოდარ ტაბიძე.



და როგორც მოსალოდნელი იყო, ახალგაზრდებმა ხორცი შეახსენ იდეას: ღრმა შინაგანი ექსპრესიით, მართალი და ფაქიზი განცდით, ზუსტი დეკლამირებით, გულშიჩაბნევილი ძლიერი, ლალი ხმით მაყურებელს ცრემლი მოაწურვინეს. და არ იყო ეს ცრემლი მხოლოდ თანადგომისა, მხოლოდ მოწონებისა; არც მარტოდენ ტრაგედიის შეცნობით გამოწვეული. ეს ცრემლი იყო იმედისა და შვებისა, რომ სხვადასხვა ხმაურიან სატყუარა-გასართობ მდინეკლ თინეჯერთა შორის, არის თაობა, ჭეშმარიტ ხელოვნებას რომ შეიმეცნებს და აღიარებს, თანაც ამგვარ ცნობისნადილს უფრო დაინერგავს. ასეთ ფიქრს ბადებდა არა მხოლოდ სპექტაკლი და დაკავებული 12 ნიჭიერი ახალგაზრდა (ირაკლი კიკნაძემდე, ლევან საბაშვილი, ირაკლი ბიჭიკაშვილი, ირაკლი გრძელიშვილი, კობა ჭკადუა, ნატო კიკაღიშვილი, მარიამ კვიციანიძე, ნათია ჭურბაძე, ფანცხა არჩვაძე, გვანცა ბერულაშვილი, ნანა ბალათური, ანასტასია მაშინაშვილი), არამედ მათ მოსასმენად მისული მათი მრავალრიცხოვანი თანატოლიც, რომელთათვის დარბაზი გახლდათ შეტად მომცრო და შეუსაბამო...

რალა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ვისურვოთ – ერთი ათასად! ერთი ათასად!

ქეთევან დავლაძე



ბანდარბაზი

რეკონსტრუქციის-მოდელი